№ 2879

ხუთშაბათი,

4 აგვისტო

ცნობის ფურცელი

№ 2879

ხუთშაბათი

4 აგვისტო

გაზეთი ღირს: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ°. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა

1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დაუბეჭდავი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაც ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა ამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **ხუთათებიანის დამატებით—5 კაპ.**

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის“

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაიწყება

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **იმაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ ვაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**

საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—74)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ იგი ნიშნავს

ორს პრემიას

200 მან. და 100 მან.

ქართული დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად. პრემიის პირობები შემდეგია:

1. საპრემიოდ წარდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი;
2. პიესა უნდა შეიცავდეს სამ მოქმედებაზე არა ნაკლებს.
3. პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიესა ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად.

4. პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა დანიშნულია არა უგვიანეს პირველ იანვრისა 1906 წ.
5. დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.
6. დაჯილდოვებულის პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.
7. შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. (5—უ.—1)

გურია-სამეგრელოს საეპარქიო სანთლის ქარხნის სარევიზიო კომისსია ამით აცხადებს, რომ თავისუფალია ადგილი **სანთლის ქარხნის** (არსებობს ქ. ფოთში) **გამგისა.** გამგედ უნდა იყოს სამღვდელო პირი, თავისუფალი სხვა ყოველსავე თანამდებობისაგან და უნდა წარმოადგინოს გირაოდ, ფულად ანუ ჯეროვანი გირავნობის მოწმობა, არა ნაკლებ 2,000 მანეთისა. ჯამაგირი ექნება 800 მანეთი წელიწადში.

თხოვნები ამა ადგილზედ დანიშვნის შესახებ მსურველთ უნდა გამოუგზავნონ სარევიზიო კომისსიას, მისის თავმჯდომარის კეთილ-მოწესე მღვდლის არისტარხოს კალანდარიშვილის სახელზედ, დ. ახალ-სენაკში, არა უგვიანეს 20 ამა აგვისტოისა. (3—ნ.—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მას მიეცა „დალატის“ ავტორისაგან და აგრეთვე მის მთარგმნელებისაგან (გ. ყიფშიძე და კ. მესხი) განსაკუთრებული უფლება ამ პიესის სცენაზე წარმოდგენისა. ამიტომ დრამ. საზ. გამგ. ნება დაურთველად მის წარმოდგენა სხვა ვისგანმე აკრძალულია. (3—უ.—1)

[illegible] რესტორანი ბაღით

„ქავკაზი“

(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)

მამა-დავითის გორაზე, გრილად მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი.

ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.

სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . . 75 კ.

ოთხი ბლუდი ½ ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.

დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის უკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მმართველი კარელ ლემმი.

რესტორანის პატრონი **ტ. ი. ფირჯანაძე.** (15—244—10).

იყიდება როიალი 50 მანეთად, ადრესი: რეუტოვის ქ. № 8, სახ. ლისოვსკისა. (5—105—1)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა ხამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი

გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის [illegible] პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—11)

კბილის ექიმი

იოანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლაევსკისა (№ 82) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—10. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 აგვისტო

გოძიადანი, 29 ივლისი. იაპონიის ბატალიონ, რომელმაც იანდილინის ულელტეხილისკენ გამოილაშქრა, შეავიწროვეს საღამოს. 30 ივლისს დილიდან შეამჩნიეს ახალი გამოლაშქრება იაპონელებისა შიხუზისა სამხრეთის კუთხემდე, მაგრამ დილის 11 ს. ისინი უკუ-იქციეს და დაახევინეს მათის პოზიციებისკენ. ჩვენ უმნიშვნელო ზარალი მოგვივიდა. 23 ივლისს ხარბინის ახლო-მახლო გაჩნდნენ ხუნხუზები, რომელთაც წამოიწიეს ჩვენები და 17 კაცი დაჰხოცეს. 30 ივლისს ჩვენი ცხენოსანი რაზმი თვითონ წავიდა ლაშქრად მანდარინის გზით დასავლეთისკენ, გარეკა იაპონელები სამის სოფლისაგან და არტილერიის ცეცხლი მიუჩემა იაპონელების ბანაკს შიბაგოტუნში და 200-ზე მეტი კაცი მოუკლა. ჩრდილოეთ კორეიაში შეტაკება ხდება უსარგებლოდ იაპონელებისთვის. 23 ივლისს იაპონიის რაზმი გამოექანა ჩვენის რაზმის წინააღმდეგ შახირთან. იერიში მოგერიებულ იქნა. 24 და 25 ივლისს იაპონელებმა ხელ-ახლა გამოილაშქრეს, უკუ-იქციეულ იქნენ და დასტოვეს მოკლულები და ამუნიცია. 25 ივლისს იაპონიის ბატალიონი და ესკადრონი შეეცადნენ გარს შემოვლოდნენ სინპუნცზანცზინს და გაძევეს ჩვენი დარაჯები. 27 ივლისს ჩვენმა რაზმმა წინანდელი პოზიცია დაიჭირა. 29 ივლისს ჩვენმა რაზმმა ხელ-ახლა დაიჭირა შახირის პოზიციები. 23 ივლისს ონცსთან კაზაკებს სროლა ჰქონდათ იაპონიის ქვეით ჯართან და სამხრეთისკენ შეავიწროვეს მტერი.

პორტ-სმუტი, 2 აგვისტო. დღევანდელ სხდომაზე ლაპარაკი ჰქონდათ მეოთხე და მეხუთე მუხლების შესახებ. რწმუნებულთ გადასწყვიტეს, აღნიშნონ უთანხმოება და შემდეგ მუხლების განხილვას შეუდგნენ. (სააგენტოს კორესპონდენტი).

ნიუ-იორკი. 2 აგვისტო. პირობების მემუხლი, ლიაოდუნის ნახევარ კუნძულისა და მაზე საიჯარო უფლებების იაპონელებისათვის დათმობის შესახებ, მიიღეს დღევანდელ სხდომაზე.

გოძიადანი. 31 ივლისს იაპონელების ორმა ნაღმოსანმა ყუმბარები ესროლა ლაზარევოს. მოხალისეებმა სროლით უკუაქციეს ჯარები, რომელთაც განზრახული ჰქონდათ, ნაპირზე გადმოსულიყვნენ.

პორტ-სმუტი. 2 აგვისტო. უკვე მიღებულ სამ მუხლის ძალით რუსეთი თანახმაა, რომ იაპონიის განსაკუთრებული მდგომარეობა ექ როს კორეიაში. რუსეთი და იაპონია ორივე ვალდებულია გასწმინდონ მანჯურია, დაიცვან ჩინეთის ტერიტორიალური მთლიანობა და ღია კარების პოლიტიკა. რუსეთი უთმობს ჩინეთს რკინის გზას ხარბინის სამხრეთით. მეექვსე მუხლში სახალინის დათმობას შეეხება. ადვილი შესაძლებელია გადასდონ ამ მუხლის განხილვა სხვების განხილვამდე. მიღებული სამი მუხლი შევა ვაშინგტონის ხელშეკრულობაში, თუ ასეთი ხელშეკრულობა ჩამოვარდა. რუსეთმა გაიმარჯვა მანჯურიის გაწმენდის საკითხში. კომურას უნდოდა ვალდებულება მარტო რუსეთისთვის დაეკისრებინა. ვიტტემ კი ორივეს დააკისრა, თუმცა დროებით დაზავებაზე არ ჰქონიათ სჯა-ბაასი, მაგრამ, სანამ მოლაპარაკება სწარმოებს, ძნელად თუ მოხდება სერიოზული შეტაკება. ოიამა არ დაიწყებს ბრძოლას, ვინაიდან იაპონიამ შეიძლება პრესტიჟი დაჰკარგოს ქვეყნიერების თვალში

ნიჟნი-ნოვგოროდი, 2 აგვისტო. გაიხსნა სრულიად რუსეთის სტაროობრიადცების სიეზდი სხდომა საჯარო არაა.

პეტერბურგი, 2 აგვისტო. „სლოვო“ ამბობს, იუსტიციის სამინისტროს განზრახვა აქვს შეკრიბოს ცნობები სვოდსტიო სასამართლოებისა და სასამართლო დაწესებულებების შესახებ, რომელნიც 1889 წ. კანონითაა შემოღებული. ამას კავშირი აქვს ადგილობრივ მსაჯულთა განზრახულ ინსტიტუტის შემოღებასთან. სახალხო განათლების სამინისტროში თავდება მუშაობა უნივერსიტეტის ახალ წესდების შესახებ. კომისიამ აზრი გამოსთქვა, რომ რექტორი, დეკანი და პროფესორები უნდა აირჩეოდნენ.—ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს ბევრი შუამდგომლობა მოსდის პროვინციებიდან ყოველ-კვირეულ გაზეთებზე ნებართვის შესახებ. ამ შუამდგომლობებზე უარს ეუბნებიან, ვინაიდან ახალი წესდება შემოდის ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.—კავკასიის შავი ქვის მწარმოებელნი შუამდგომლობენ, რომ ნება დართონ ამიერ-კავკასიის რკინის გზის საბჭოში იყოლიონ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, დაარსდეს დაბალი სამთო სასწავლებელი ქუთაისის გუბერნიაში და დაწესდეს ნაფიცი მწონელობა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოს“-გან“

2 აგვისტო

პორტ-სმუტი, 1 აგვისტო. კონფერენციის სხდომა 6 საათამდე გაგრძელდა. შტრაუსმა განაცხადა, ვიტტესთან მოლაპარაკება შეეხებოდა ებრაელების მდგომარეობის გაუმჯობესობას რუსეთშიო.

პორტ-სმუტი. ვიტტემ განაცხადა შტრაუსთან რჩევა შეეხებოდა ებრაელების მდგომარეობას რუსეთში და არა სესხსო.

პორტ-სმუტი, 2 აგვისტო. როცა ვიტტეს შეეკითხნენ, მეორე და მესამე მუხლის შესახებ საბოლოო შეთანხმება მოხდა თუ არაო, მან დასტურით უპასუხა. საქმე გაჭირდება მაშინ, როცა მოლაპარაკებას შეუდგებიან სამხედრო ხარჯის ანაზღაურებისა და სახალინის დათმობის შესახებ.

პორტ-სმუტი, 2 აგვისტო. ხმებია, რომ შემდეგი მუხლი სახალინს შეეხებაო. შიფისა, შტრაუსისა და ზელიგმანის ყოფნას ვიტტესთან არ მოუტანია პირდაპირი ნაყოფი: ვიტტემ იმედი გამოსთქვა, რომ მომავალში გადაწყდება ებრაელების საკითხიო. ვიტტე ცოტათი გაცივდა და დაღლილობას გრძნობს.

პარიჟი, 2 აგვისტო. „ტან“-ში მოთავსებულ სტატიაში აზრია გამოთქმული, რომ საფრანგეთის ინგლისთან ინტერესების ერთიანობა ახალი გარანტიაა მშვიდობიანობისა, მაგრამ საფრანგეთი მტკიცედ იცავს რუსეთის კავშირს, ელოდება რა, რომ უკანასკნელი ადრე მოქმედების თავისუფლებას მიიპოვებსო. ეს მუხლი გამომხატველია პოლიტიკურ წრეების აზრისა.—პორტ-სმუტიდან მოსულ ცნობებით, ვიტტემ განაცხადა, რომ კორეია აღარ აინტერესებს რუსეთს და მხოლოდ საჭიროა შეთანხმების ჩამოგდება კერძო საკუთრებაზე უფლების შესახებ, ვინაიდან რუსეთს კერძო საკუთრებები აქვს კორეიაში. ამერიკა პესიმისტურ ხასიათზეა, ვინაიდან ეშინია, რომ სამხედრო ხარჯისა და ტერიტორიის დათმობის საკითხი, რომელიც უნდა გაირჩეს ახლა, დიდად გააძნელებს საქმესო. აქაური დიპლომატიური წრეები იმ აზრისაა, რომ ზავის საქმის სასურველად წაყვანისთვის საჭიროა ჩაერიონ ინგლისი, შეერთებული შტატები და საფრანგეთი, რათა თავიანთის გავლენით შეამცირებინონ იაპონიას მოთხოვნები.

პეტერბურგი, 1 აგვისტო. კრასნოე სელოში, მათის უდიდებულესობის თანდასწრებით, საარტილერიო აღლუმი გაიმართა.—პეტერბურგის უმაღლეს საქალაქო კურსებზე ლექციები 1 სექტემბერს დაიწყება, სემესტრობით-კი 1-დან 16 სექტემბრამდე გასათავებელი ეგზამენები იქნება. 15 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე, მიიღებენ ვოლნოოპრედელიაიუშჩებს საინტენდანტოებში სამსახურში, თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, რომლითაც უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულთა ახალგაზდა კაცებს ნება აქვთ მოიხადონ სამხედრო ბეგარა სამხედრო საინტენდანტო სამმართველოებში.

სარატოვი, 2 აგვისტო. აგვისტოდან აღარ გამოვა „სარატოვის საეპარქიო უწყებები“, რომელიც 40 წლის განმავლობაში გამოდიოდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

მოლაპარაკება ზავზე. „ნ. ვინ. ტაგებლატ“-ს შეუტყვია განსაკუთრებით სარწმუნო წყაროდან: თუ იაპონიის რწმუნებულნი ბეჯითად მოითხოვენ კონტრიბუციის მიცემას, ვიტტე კაცთ-მოყვარეობის გამო და რუსეთის მშვიდობის მოყვარეობის დასამტკიცებლად, დასთანხმდება მოთხოვნილ ფულის გადახდას, მაგრამ ამ ფულს კონტრიბუციის სახელი არ დაერქმევა, რადგან კონტრიბუციის გადახდა რუსეთის ღირსებას არ შეეფერება, ეს იქნება მხოლოდ შეწირულება იაპონელ ინვალიდებისა და მოკლულ მეომართა ქვრივ-ობლების სასარგებლოდ და აგრეთვე ყველა იმ ზარალის საზღაურად, რაც იაპონიის ხალხს ომის დროს მიუვიდა. ვიტტე აუცილებელ პირობად დასდებს, რომ ხსენებული სუმა საზავო ხელშეკრულობაში როგორც „შეწირულება“ იყოს ჩაწერილი და არა როგორც „კონტრიბუცია“, ანუ „სამხედრო საზღაური“. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთის რწმუნებულნი მოლაპარაკებას შესწყვეტენ და პორტს-მუტიდან წავლენ. („ო. ნ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან, 28 ივლისის თარიღით: ვიტტეს ზოგიერთმა სიტყვამ (ალბად, რუსეთის ძლიერებაზე) მეტად აღელვა იაპონიური პრესა. უმთავრესმა იაპონურმა გაზეთებმა მხურვალე წერილები დაბეჭდეს და ის აზრი გამოსთქვეს, რომ რუსეთი დამარცხებული სახელმწიფოა და ამიტომ ამისდა შესაფერისად მოიქცეს და დამარცხება არ უნდა ავიწყდებოდესო.

უცხოელ ბანკირების პასუხი. „ლაფანის სააგენტო“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: როგორც ცნობილია, ვიტტეს, სხვათა შორის, მინდობილი ჰქონდა პარიჟსა, ბერლინსა და ნიუ-იორკში გარეშე სესხის გამოცემა მოეხერხებინა. უკანასკნელ დეპეშებში ვიტტე იუწყება: ამ სესხების გამოცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ზავს შეეკრავთო. ბერლინელ და პარიზელ ფინანსისტებს ბეჯითად ურჩევიათ შერიგება და გადაჭრით გამოუცხადებიათ, სანამ ზავს არ ჩამოაგდებთ, სესხის გამოცემა შეუძლებელიაო. („ო. ნ.“)

მანჯურიაში. „რუსი“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიძიაპუძიდან, 27 ივლისის თარიღით: არმიის ფრონტზე იშვიათი და მცირე შეტაკება ხდება ხოლმე. ამბობენ, რომ იაპონელები ხან და ხან, როცა რუსის მზვერავი რაზმი უახლოვდებათ, სანგრებიდან გამოდიან უთოფოდ, ქუდებს იქნევენ და უყვირიან: „ზავი, ზავიო!“ ყაზახები ამ სალმის პასუხად ჩვეულებრივ თოფებს დაახლიან ხოლმე, რის შემდეგ იაპონელები ისევ სანგრებში დგებიან და ყაზახებს გულდა-გულ ერთბაშად ესვრიან თოფებსაო.

იმავე გაზეთს ატყობინებენ: ჩინელებში ხმა გავრცელდა, მარშალმა ოიამამ გამოუცხადა ვითომ ჩინტუფუში ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა არჩეულ კაცებს, ომი მალე გათავდება, ამიტომ ხალხს შეუძლიან მინდვრებში მუშაობას შეუდგესო.

სხვა და სხვა ცნობიდან სჩანს, რომ რუსის სალდათებს ძლიერ მობეზრებიათ ომი. ზურგის ჯარის გენერალს ბძანება გამოუცია, ბევრი სალდათი რომელსამე თითს იჭრის იმ აზრით, რომ სამსახურიდან განთავისუფლდესო. მაგრამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეთ და ამას იქით ვინც-კი ამისთანა საქმეს ჩაიდენს, არა თუ სამსახურიდან არ განთავისუფლდება, პირიქით, სამართალში მიიცემაო.

ვლადივოსტოკში. „რუსკოე სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ ვლადივოსტოკიდან: ამ ბოლოს დროს აქ ძლიერ იყო გავრცელებული ლოთობა, რის გამოც დიდი ბოროტ მოქმედება ხდებოდა და მთვრალი სალდათები დისციპლინას არღვევდნენ. ამიტომ ციხის კომენდანტმა გენ. ყაზბეგმა განკარგულება მოახდინა, რომ უქმე და უქმეების წინა დღეებში არყის სყიდვა აიკრძალოსო. ჰფიქრობენ, არყის სყიდვა სულ აიკრძალებაო.

ვლადივოსტოკიდან ერთ ოფიცერს მოუწერია: ჩვენში ავადმყოფობა გავრცელდა გაფუჭებულ ხორცის ჭამისაგან. გაიგეს, რომ აქაურ მილიონერ ვაჭარს ელვანგერს გაფუჭებული დამარილებული ხორცი („სოლონინა“) ჰქონია და კომენდანტს ნებართვა სთხოვეს ელვანგერის საწყობების გასასინჯად. 40 ექიმი და 11 ზედამხედველი შეიკრიბნენ, პოლიცია დაიბარეს და საღამოს 9 საათზე მოულოდნელად ერთბაშად ექიმებისა და ოფიცრებისაგან შემდგარი კომისიები პოლიციით ელვანგერის ყველა მაღაზიის დასაბეჭდად წავიდნენ. დილით ყველა კომისია მაღაზიებსა და საწყობებში შენახულ სანოვაგის გასინჯვას შეუდგა. გასინჯვამ მშვენიერი შედეგი მოიტანა: 1000 ფუთზე მეტი სანოვაგე დაიწუნეს, მარტო ერთ მაღაზიაში 30 ფუთი შვეიცარიული ყველი დაიწუნეს. დამარილებულ ხორცსა და თევზს ისეთი მყრალი სუნი ასდიოდა, რომ ის ექიმი, რომელიც იქ მუშაობდა, ჰაერისაგან მოიწამლა. ამ მყრალ ხორცსა და თევზს იმ დროსთვის ინახავდნენ, როცა იაპონელები ალყას შემოარტყამდნენ ციხეს, მაშინ შეაკეთებდნენ, სუნს დაუკარგავდნენ, ციხის დამცველებზე გაასაღებდნენ და სალდათები ტყვიისაგან-კი არა, თევზისა და ხორცისაგან დაიხოცებოდნენ. ელვანგერის საკალბასე ქარხანა ისეთი საშინელება რამ არის, რომ ვინც ერთხელ მაინც ნახა ეს ქარხანა, არაფრის გულისათვის აღარა სჭამს კალბასს. ყველაფერი, რაც-კი დაიწუნეს, ზღვაში გაიტანეს და ჩაძირეს. ელვანგერს 300 მან. ჯარიმა გადაახდევინეს, წართმეული საქონელიც 30 ათას მანეთად ღირებოდა. ამ დროს კიდევ სხვა მშვენიერი საქმეც აღმოჩნდა. ელვანგერთან „წითელჯვრის“ 1,300 ფუთი დამარილებული ხორცი იპოვეს. ეს ხორცი გაფუჭებულიყო და „წითელ-ჯვარს“ ელვანგერისათვის გაეგზავნა შესაკეთებლად, ფუთში თითო მანეთი უნდა მიეცათ; შეკეთების შემდეგ დაჭრილებსა და ავადმყოფებს აჭმევდნენ „წითელ-ჯვრის“ საავადმყოფოებში. რასაკვირველია, ესეც ზღვაში გადაყარეს. ამას გარდა პოლკების სანოვაგეც გასინჯეს, იქაც ბევრი რამ დაიწუნეს და მაშინვე მოსპეს. („ნ. ყ“).

სამხედრო მოქმედება. ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ „დეილ-ტელეგრაფ“-ს: თუმცა გენ. ლინევიჩი დამამშვიდებელ დეპეშებს ჰგზავნის, რუსის არმიის მდგომარეობა მანჯურიაში მაინც გაჭირვებულია. მალე ცხადად დაინახვენ, რომ იაპონელებმა ნამდვილად წრე შემოავლეს რუსებს. იაპონელები გენ. ლინევიჩის არმიის ზურგსა და ფრთებს ემუქრებიან და მდ. ამურის შესართავთან გაბატონდნენ. წელს ისეთი ძლიერი წვიმები აღარ მოდის, როგორიც შარშან მოდიოდა. („ს. ო.“).

რუსული პატრიოტული გაზეთები „მოსკოვსკია ვედომოსტი“, „ნოვოე ვრემია“ და სხვები დაჟინებით ამტკიცებენ, ამ ჟამად გენ. ლინევიჩის არმია ძლიერია იაპონიის არმიაზე და თუ ბრძოლა მოხდა, უსათუოდ რუსის არმია გაიმარჯვებსო. თუ მარშალი ოიამას გამარჯვების იმედი აქვს, ამდენ ხანს რად გაჩერდა ერთ ადგილასაო. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი არ ეთანხმება ამ აზრს. თავის მხრივ შენიშნავს, თუ რუსის არმია ძლიერია იაპონიისაზე, მაშ რატომ თვითონ გენ. ლინევიჩი არ გაილაშქრებს წინაო. მიმომხილველი სწერს: „8 მარტს აქეთ მანჯურიაში სიჩუმე დამყარდა 4 თვეზე მეტია, რაც ეს სიჩუმე არ დარღვეულა. მოწინავე რაზმების შეტაკებამ, ორმა-სამმა პატარა ბრძოლამ რუსის მარჯვენა ფრთაზე გენ. მიშჩენკოს რაზმსა და გენ. ნოგის მოწინავე რაზმს შუა და მზვერავ რაზმების მოქმედებამ სრულებით არ შესცვალეს მარშალ ოიამასა და გენ. ლინევიჩის არმიების მდგომარეობა. იაპონიის არმიის ხანგრძლივმა უმოქმედობამ, რასაკვირველია, სარგებლობა მოუტანა რუსის ჯარს და გენ. ლინევიჩს დრო მისცა, მანჯურიაში ხელ-ახლად შეეკრიბა მრისხანე არმია. მაგრამ მეტად დიდი თავის მოტყუება იქნება ვიფიქროთ, ვითომ მარშალ ოიამას ეშინოდეს, ვაი თუ მომავალ გენერალურ

ბრძოლაში დავმარცხდე ძლევა მოსილ კამპანიის ნაყოფი დავკარგოთ და ამიტომ იყოს გაჩერებული. ვინც ირწმუნება, რომ გენ. ლინევიჩს თამამად შეუძლიან წინ გალაშქრება და იაპონელების დამარცხებაო, თითონაც არ ესმის, თუ რა დიდ ბრალსა სდებს რუსის მთავარ-სარდალს. ეხლა, როდესაც ზავზე მოლაპარაკება დაიწყო კიდევაც, გენ. ლინევიჩის გამარჯვება მისწრებასავით იქნებოდა და იაპონიის რწმუნებულებს მოთხოვნილებას შეამცირებინებდა. მაშ რად იგვიანებს გენ. ლინევიჩი? აშკარაა იმიტომ, რომ მეტად კარგად იცის, თუ რა მტერი უდგას წინა. მართალი ოიამას, რაღა თქმა უნდა, სრული უფლება აქვს, დაწყებულ მოლაპარაკების შედეგს მოუცადოს. თუ ეხლა რუსები იაპონიის პირობას დასთანხმდებიან, რისთვის-ღა უნდა შეებრძოლოს ოიამა რუსის ჯარს? მარტო სახელის გულისათვის შესწიროს მრავალი სიცოცხლე და აუარებელი ფული? ამიტომ იაპონელები ამ ჟამად ვლადივასტოკის ალყის მომზადების გარდა, სახალინისა და პრიმორის ოლქის დაჭერას შეუდგნენ. ეს საქმე უფრო საადვილოა, იაფადაც ჯდება და ამავე დროს იაპონიის მოთხოვნილების მიღებასაც ხელს შეუწყობს. კამჩატკისა და ოხოტსკის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირისაკენ გალაშქრებაც ამნაირ საადვილო საქმედ უნდა ჩაითვალოს. თუ მანჯურიაში სამხედრო მოქმედება განახლდა, რასაკვირველია, რუსის ჯარი თავის მძიმე მოვალეობას შეასრულებს, მაგრამ აფიცრების წერილებიდან სჩანს, რომ ჩვენი ჯარი სერიოზულ გუნებაზეა და თავის მრისხანე მტერს სულაც არ უცქერის ქარაფშუტულად.

იაპონია და ინგლისი. „ბერლ. ლოკ. ანცაიგერ“-ი იუწყება: რამწამს შორეულ-აღმოსავლეთის საქმე გამოირკვევა, იაპონიის ესკადრა ინგლისის ზღვისაკენ წამოვაო. („რ. ს.“).

ვითომ რეფორმა.

პირველ წერილში *) ჩვენა ვთქვით, რომ სახალხო სკოლის მიზანი, როგორც თვითონ კომისსიამ დაისახა, და მისი განსახორციელებელი საშუალებანი ერთმანეთს არ ეთანხმებიან: საშუალებანი მიზანს არ აღწევენ.

ეხლა გავუსინჯოთ კბილი კომისსიის დანარჩენ პრინციპებს. კომისსია გადაჭრით და დაბეჯითებით ამბობს, რომ სამღთო სჯულის და ანგარიშის დიდი მნიშვნელობა სახალხო [illegible] გარეშეაო. დავეთანხმოთ, რომ ანგარიშს მართლა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის (ცხოვრებისათვის გამოსადეგ ცნობებს სძენს), მაგრამ ესევე არ ითქმის სამღთო სჯულზედ. ეჭვს გარეშეა, რომ სამღთო სჯულს, როგორც საგანს, როგორც სამღთო სჯულს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა სახალხო სკოლებისთვის. მარტო კომისსის წევრებისათვის ყოფილა დაფარული ის თითქმის ყოველ განათლებულ სახელმწიფოში გავრცელებული და საუკეთესო პედაგოგებისაგან დასაბუთებული აზრი, რომ სამღთო სჯულს პირველ დაწყებით სკოლებში არა ჰქონდეს ადგილი. სარწმუნოება მეცნიერება არ არის. იგი უფრო გულის და გრძნობის საზრდოა და როგორც ასეთი, ფრიად სუბიექტიურია. ყველას, გინდა ერთის სჯულისა რომ იყვნენ, თავისებური სარწმუნოება აქვს: მისი სწავლება შეუძლებელია და უნაყოფო, თუთიყუშივით გაზეპირება ლოცვებისა, გაუგებარ ძველ ენაზედ, ღვთის მსახურების წესებისა და სჯულის დოგმატებისა არც სარწმუნოებას განამტკიცებს, არც გრძნობას გააფაქიზებს და არც გონებას განუვითარებს, კიდევ კარგი თუ არ დაუხშო ბავშვს გონება შეუფერებელს მასალის შესწავლით.

იშვიათი მასწავლებელი იპოვის თავის მოსწავლეებში იმ სიმს, რომელიც საჭიროა მაღლერო სარწმუნოებრივ გრძნობების გასაღვიძებლად. ამისათვის საჭიროა ზედმიწევნით ცოდნა მოსწავლის სულის საიდუმლო ცხოვრებისა, რაც შეუძლებელია თანამედროვე სკოლაში, სადაც 30—40—60 მოსწავლეა თითო კლასში. ამ მოსაზრებათა მიხედვით და ერთ ფრიად საფუძვლიან საბუთით—სარწმუნოება სინდისის საქმეა,— საუკეთესო პედაგოგები ურჩევენ, სამღვთო სჯული გამორიცხონ სკოლის პროგრამიდან და სარწმუნოების საქმე მიანდონ მოსწავლის დედ-მამას, რომელნიც უფრო ახლო არიან ბავშვის სულიერ ცხოვრებასთან. მაშ საიდან დასკვნა კომისსიამ, რომ სამღრთო სჯულის დიდი მნიშვნელობა სახალხო სკოლების პროგრამაში ყველასათვის ეჭვს გარეშეაო? არსაიდან. სამღთო სჯული გამოტყვრა პროგრამაში მხოლოდ იმიტომ, რომ 13 იანვარს 1881 წ. სასწავლო გეგმაში ეწერა: მოსწავლეები პირველ დაწყებითის სკოლისა უნდა აღიზარდნენ და განმტკიცდნენ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაშიო. ეს ბრძანება არის ერთად-ერთი საბუთი სამღთო სჯულის არსებობისა და არა რაიმე საღი პედაგოგიური მოსაზრება. თუ კომისსიისათვის ეჭვს გარეშეა სამღთო სჯულის და ანგარიშის მნიშვნელობა, მაგივრად საეჭვოა სამშობლო და რუსული ენა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ვერ გავიგეთ, რას ნიშნავს ნამდვილად ოქმის სიტყვები: „მათი (სამშობლო და რუსული ენის) მნიშვნელობა სხვა და სხვა ნაირად ესმით პედაგოგიურსა და საზოგადოების წრეებში“. არ ვიცით, ნიშნავს ეს იმას, რომ პედაგოგიურ წრეების აზრი ეწინააღმდეგება საზოგადოებისას, თუ ორივე წრეებში ჯერაც არ არის დამყარებული განსაზღვრული აზრი ამ ენების შესახებ. როგორც უნდა გაიგოს კაცმა მოყვანილ სიტყვების აზრი, ორსავე შემთხვევაში იგი მტკნარი სიცრუეა. არც პედაგოგიურ წრეებში და არც საზოგადოებაში, რასაკვირველია, თუ მათ პოლიტიკანები არ შეადგენენ, არა სუფევს ორი აზრი. ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ სამშობლო ენა არის საფუძველი ბავშვის ნორმალურის განვითარებისა; ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ კავკასიის აწინდელ მდგომარეობაში რუსულ ენას დიდი მნიშვნელობა აქვს და უეჭველად უნდა დაეთმოს ადგილი არა რუსების სკოლაში, მაგრამ აქედან შორს, ძალიან შორს არის იმ დასკვნამდის, რომელზედაც ჯამბაზისავით ადვილად ხტება კომისსია: რუსული ენა უნდა შეადგენდეს სავალდებულო საგნებს პირველდაწყებით სკოლებში. ვინ არ დაეთანხმება კომისიის წევრებს, რომ რუსული ენის ცოდნა ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე არის საჭირო, ვისთვის არ არის ცხადი მისი ცოდნის სარგებლობა და არც ცოდნის ცუდი შედეგები, მაგრამ განა აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ რუსული ენა სავალდებულოა პირველ დაწყებით სკოლაში. არა და არა. ჩვენ კარგად გვესმის, რისთვის შეიწუხა თავი კომისსიამ და საბუთები შეკრიბა რუსული ენის სწავლების სასარგებლოდ. ბიუროკრატია ხომ უსაბუთოდ არაფერს არ დაადგენს: „Принимая во вниманіе то-то, считаю необходимымъ“. მაგრამ საქმე იმაშია, რა პირის საიდუმლოებაა დაფარული ამ საბუთებში. ბიუროკრატია საბუთების ფარდას აფარებს თავის ნამდვილ განზრახვას, რომლის გამომჟღავნება, იცის კარგად, კეთილს არ დააყრის მის ვითომ დასაბუთებულ აზრს. ასეთი ფარდაა ის საბუთები, რომელიც მოჰყავს კომისსიას რუსული ენის სწავლების აუცილებლობის დასამტკიცებლად. ფარდის იქით დაფარულია ნამდვილი გულის-ნადები: არ მოესპოს ბიუროკრატიას საშუალება თავის გარუსების პოლიტიკა განაგრძოს მამქრალის ძალით ეხლა, როდესაც საქმე გამწვავებულია, და გაამეფოს, როდესაც უკეთესი, ხელ საყრელი დრო დადგება. თუ ეს ფარული სურვილი არა ჰქონდა ბიუროკრატიას, უეჭველია არ დასჭირდებოდა იმ საბუთებს, რომელთა მიხედვით აკანონებს რუსული ენის სწავლების ვალდებულებას. მართლაც, განა შეიძლება მარტო პრაქტიკულის მოსაზრებით პედაგოგმა შეიტანოს სასწავლო პროგრამაში რაიმე საგანი? არა, პედაგოგი, თუ ის ცოდნის ინტერესებს იცავს, პირველად დაეკითხება თავის თავს: პედაგოგიურის მხრით ამდა ამ საგნის შეტანა შესაძლებელია პირველ დაწყებით სკოლის პროგრამაში, თუ არა? ეს კითხვა არ მიუცია თავის თავისთვის კომისსიას და [illegible] მარტო პრაქტიკულ ის მოსაზრებით. რა მიზეზით, ეხლა, მგონია, ცხადია მკითხველისთვის.

იქნება პედაგოგიური მოსაზრება, თუმცა კომისსიას არ მიუღია მხედველობაში, ნებას გვაძლევს პირველ დაწყებით სკოლის პროგრამაში შევიტანოთ, როგორც სავალდებულო საგანი, რუსული ენა?

ამაზედ შემდეგ წერილში მოვილაპარაკოთ.

მასწავლებელი.

---

*) იხ. „ცნ. ფურც“. № 2878.

ახალი ამბავი

◆ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი** მეუღლითურთ გუშინ კისლოვოდსკში გაემგზავრა. გრაფთან ერთად კისლოვოდსკში წავიდა პოლიციის ნაწილის გამგე გენერალი შირინკინი.

◆ **სომხობას შეხრულდა** დიდის ხნის საწადელი და, უმაღლესს მთავრობის განკარგულებით, დაუბრუნდა უფლებანი თავისუფლად **სამრევლო-საეკლესიო** სკოლების დაარსებისა, როგორც ამ 15 წლის წინად იყო. ამას გარდა ხელ-ახლა გადაეცა სომხის სამღვდელოებას და ეკკლესიას ის საეკკლესიო მამულები, რომელიც თავ. გოლიცინის დროს ჩამოერთვა და ხაზინას გადაეცა. სომეხთა მამულების შესახებ მოხსენება ნამესტნიკს ხელმწიფე იმპერატორისათვის გადაუცია და უთხოვნია მამულების დაბრუნება, რადგან ნამესტნიკს მთელი ამ საქმის წარმოება კავკასიის მთავარ-მართებლად ნამყოფის თავ. გოლიცინის შეცდომად მიუჩნევია. ნამესტნიკმა მიიწვია სასახლეში სომეხთა კათალიკოზი და აცნობა შინაარსი ხელმწიფისაგან მიღებულ დეპეშისა მამულების დაბრუნების და სკოლების დაარსების უფლებების შესახებ. ამასთან ნამესტნიკმა მიულოცა კათალიკოზს ასე კეთილად სომეხთა საქმის დამთავრება და სთხოვა, ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ კომისიებს, რომელთაც ამ ცოტა ხანში უკლებლივ უნდა ჩააბარონ მამულები სომეხთა ეკკლესიებს და აგრეთვე ფული და ქონება. კათალიკოსმა დიდი მადლობა გადაუხადა ნამესტნიკს. გუშინ, 3 აგვისტოს, სომხობამ ეს ამბავი აცნობა სპარსეთისა, ოსმალეთისა, ეგვიპტისა, ამერიკისა და სხვა ქვეყნების სომხობას.

◆ როგორც ხმა დადის, გორის მაზრის სოფელ ხოვლეში **შემდგარა გლეხთა მილიცია.** 1 აგვისტოს ეს მილიცია დასცემია ხოვლეში თავად-აზნაურთა მილიციის რამდენსამე წევრს და წაურთმევია თოფები. აი, ასეთი ნაყოფი გამოიღო დიდის რიხით შემდგარმა თავად-აზნაურთა მილიციამ.

◆ რადგან **ბლაღოჩინები კარგა ხანია აღარ ასრულებენ** თავიანთ თანამდებობას, სასინოდო კანტორას აუარებელი მიწერ-მოწერის ქაღალდი დაუბრუნდა უკან. ქაღალდებზე აწერია, ბლაღოჩინებმა ყველასგან ცნობილ მიზეზებისა გამო თავიანთ თანამდებობაზე ხელი აიღეს და აღარავითარს დავალებას სასულიერო მთავრობისას აღარ ასრულებენო. ამ ქაღალდებს პროკურორი თავის განმარტებით ახალ ეგზარხოსს წარუდგენს.

◆ **ქართლ-კახეთისა, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს სამღვდელოების მიერ** შემუშავებულ და სასინოდო კანტორაში გამოგზავნილ პეტიციებს საქართველოს ეკკლესიის უფლებების აღდგენის შესახებ სასინოდო კანტორის პროკურორი ეგზარხოსს ნიკოლოზს ხვალ, 5 აგვისტოს, წარუდგენს.

◆ **ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშ**-ძის მოკვლის საქმე გაირჩევა სამხედრ სასამართლოში 16 აგვისტოს. პასუხის ბაში მიცემულია შუშის მცხოვრები ს ქალიანცი, ბაქოს მცხოვრები—გირ მეირიმოვი, სპარსეთის ქვეშევრდომი—პეტ სალტანიანცი და ნახიჩევნის მაზრის მცხო რები მინას აკაშიანცი. „ბ.“-ს სიტყვ ამათ ჰბრალდებათ 11 მაისს ყუმბარის როლა და თავ. ნაკაშიძის მოკვლა.

◆ 2 აგვისტოს ტფილისის სამოსამართ პალატამ სენატორის ზავადსკის თავმჯდ მარეობით და წოდებათა წარმომადგენ ბის თანდასწრებით განიხილა **პოლიტიკუ საქმე**, რომლითაც პასუხის გებაში მი მული იყო გორის მაზრის სოფელ ტყვია მცხოვრები ივანე ზაქარიას ძე კეცხოველ კეცხოველის შესახებ ციხის ჯარის მასწ ლებელს ივანოვს უცნობებია ცნობილ დ კონს ვოსტორგოვისათვის, რომ პრო განდას ეწევაო. ვოსტორგოვს ეს ამბ თავის მხრივ პროკურორისათვის გადაუც შესდგომიან საქმის გამოძიებას. გაჩხრეკ შემდეგ კეცხოველი ჩაუსვამთ მეტეხის ც ხეში, სადაც იგი დღევანდლამდე იმყოფებ როგორც ოქმი გადმოგვცემს, ამ ორი წ წინად კეცხოველი შესულა ესრედ წოდ ბულ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიუ მუშათა პარტიაში“, რომელსაც აზრა აქვს დაამხოს არსებული სახელმწიფო წ წყობილება. ამ საქმისთვის კეცხოველი შ შან გაზაფხულზე „სოფელ ციხის ჯარ პროპაგანდას სწევდა და ცდილობდა გლ ხობა აეღელვებია არსებულ წესწყობილებ საწინააღმდეგოდ. მცხოვრებთ ურიგებდა რეთვე მთავრობის საწინააღმდეგო შინაა სის გამოცემებს. იმავე წლის ივნისს კე ხოველს გორში საწყობი ჰქონია საწინაა დეგო ბროშურებისა და პროკლამაციების რასაც ქარელში კონსტანტინე ხოშერი აწოდებდა ხალხში გავრცელებინა. ამ აზრით კეცხოველს გამოცემანი გადაუ სხვა პირებისათვისაც, სხვათა შორის, ვი სიხარულიძისათვის, რომელიც ვერ იპო ნეს. ხოშერია 1904 წლის 11 აგ სტოს უმაღლეს მანიფესტის ძალით გ ნთავისუფლებით. კეცხოველს იცავდა ფიცი ვექილი ვ. ა. დემიდოვი. ქმის გამო მოწვეული იყო 7 მოწმ მოწმეთა ერთის ნაწილის გამოკითხვა პ ლატამ დაასრულა შუადღემდე და შემ სხდომა შესწყვიტა სამ საათამდე. საქ გარჩევამ გასტანა საღამოს 8 საათამდე. ლატამ ხალხის დასწრებით გამოუცხადა ნაჩენი, ივანე კეცხოველი დამნაშავედ ი ნო და გადაუწყვიტა განსაკუთრებულ უ ლებათა ჩამორთმევა და ერთის წლით ს ყრობილეში დაპატიმრება. გუშინ, 3 აგვ ტოს, კეცხოველმა თავდებობით განთა სუფლება ითხოვა.

◆ გუშინ, 3 აგვისტოს, სამხედრო ს სამართლოში დაიწყო განხილვა **საკანდიტ პატრონის ალიხანოვის მოკვლის საქმ**

ფელეტონი

ცოტა მეტი სინათლე

(პასუხად ბ-ნს ალექსი ჭიჭინაძეს)

(წერილი რედაქციისადმი)

ამის წინად პეტერბურგის გაზეთს „Разсвѣтъ“-ში ჩვენ დავბეჭდეთ წერილი *) შესახებ იმ უუფლებობისა და დაჩაგრულობისა, რომელშიაც იმყოფებიან ქართული ენა და თვით ქართველები—მასწავლებლები და მოსწავლენი—სამოსწავლო უწყებაში. მთავარი დანიშნულება წერილისა იყო დასურათება უსამართლო და უდიერის რეჟიმისა. ამ დასურათებისათვის ჩვენ დაგვჭირდა დასახელება და დახასიათება სხვა და სხვა პირებისა, რომელთაგან უცხონი გამოდიოდნენ მჩაგვრელებად და ჩვენებურნი-კი დაჩაგრულებად. დაჩაგრულთა რიცხვში მოვიხსენიეთ, სხვათა შორის, ერთად-ერთი ქართველი დირექტორი სახალხო სკოლებისა, რომელსაც ეს თანამდებობა არგუნეს საეჭვო შორეულ ქვეყანაში და ისიც მხოლოდ მას უკან, როცა მან შეიწყნარა (призналъ возможнымъ) ბ-ნ ლევიცკის რუსული სახელმძღვანელო და შემდეგ შეიტანა იგი თავის დირექციის სკოლებში. ჩვენ ამისი თქმა დაგვჭირდა მხოლოდ რეჟიმის დასახასიათებლად, დამცირება და წყენა-კი გინდ ფიქრადაც არ მოგვსვლია. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი სიტყვები სწყენიად მოუვიდა ჩვენს პატივცემულს პედაგოგს ალექსი ბესარიონის ძეს ჭიჭინაძეს, რომელიც ჩვენს წერილში დასახელებული არ იყო და მთელი სასაყვედურო წერილი დაუბეჭდავს „ცნობის ფურცელში“.

თავის წერილის დასაწყისში ჩვენი ცნობილი პედაგოგი გვაბრალებს, ვითომ ჩვენ გვეთქვას, ლევიცკის წიგნი იმიტომ მიიღო, რომ დირექტორობა მიეღოო. ეს ბრალდება უსაფუძვლოა და უსამართლო. განზრახვას, გულის ნადებს ჩვენ არ შევეხებოდით და ვერც შევეხებოდით, რადგანაც სხვის გულში ხედვით თითონ დაჩვეულნი არ გახლავართ. ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ფაქტი, ფაქტი მეტად დამახასიათებელი რეჟიმისა, და სხვა არაფერი. თუ ჩვენმა მკითხველმა ამ ფაქტიდან ხსენებული პირადი დასკვნა გამოიყვანა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა მკითხველიც გამოიყვანს მსგავს დასკვნას,—შეწუხება გულწრფელადაც ხომ შეიძლება. იმ დასკვნას-კი, თუ რა შორს მიდიოდა დაჩაგრულება ქართველი მასწავლებელ პირების სამოსწავლო უწყებაში, ყველა მკითხველი გამოიყვანდა დასახელებულ ფაქტიდან და ჩვენც მხოლოდ ეს გვინდოდა და სხვა არაფერი. ამიტომ ჩვენ გვკვირს ბ-ნ ალექსის საქციელი. იმაში-კი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ დიდს ბოდიშს და მის დამქაშებს ჩვენზე უკიდურესად გავაბრაზებდით, თუმცა არც იმათი პირადობა გვაინტერესებდა.

ვწუხვართ, რომ ჩვენი უმანკო სიტყვები, მანკიანად მოუვიდა ჩვენს პედაგოგს და სწყენია. მაგრამ იმაზედ-კი არა ვწუხვართ, რომ იძულებული გავხდით პასუხად ეს წერილი დაგვეწერა და დაგვებეჭდა. არა ვწუხვართ იმის გამო, რომ იმედი გვაქვს მეტი ნათელი მოეფინება საქმეს...

ჩვენი თითქო სიტყვები ბ-ნ ჭიჭინაძის შესახებ დამყარებული იყო უტყუარს ფაქტებზე. აი ეს ფაქტები.

კავკავის ქართულ სკოლაში, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოება მართავდა ტფილისიდან, ამგვარი სამოსწავლო გეგმა იყო: რუსული ენა ლექსიური, ანუ ზეპირ სიტყვიერით, იწყებოდა პირველი წლის მეორე ნახევრიდან და წლის ბოლომდე გრძელდებოდა; რუსული წერა-კითხვა იწყებოდა მეორე წლის დამდეგიდან, და სახელმძღვანელოდ იხმარებოდა ხემი „რუსკოე სლოვო“. ექვსის წლის წინად, სახელდობრ 1899 წლის სექტემბრის დამდეგში, კავკავის სკოლის გამგეს მისვლოდა ოფიციალური ქაღალდი ინსპექტორის ბ-ნის ჭიჭინაძისაგან, რომლითაც ის თხოულობდა რუსულის ენის დაწყებას ოქტომბრიდან, ნაცვლად იანვრისა, რუსული წერა-კითხვის დაწყებას პირველი წლის მეორე ნახევარში და ლევიცკის კურსის შემოღებას; ამასთან ნებასა რთავდა რუსულის ენის სწავლების დროს, თვალსაჩინო ღონისძიებათა გარდა, თარგმნაც ეხმარათ. ამ მიწერილობას ბ-ნი ინსპექტორი ამყარებდა დირექტორის გრუშევსკის განკარგულებაზე. როცა ამ ქაღალდის კოპიო მოვიდა ტფილისში სკოლის გამგესაგან, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მისწერა კავკავში, რომ ინსპექტორის სწავლო გეგმა და სახელმძღვანელო რუსული ენისა წინანდელი დატოვებინა და პირდაპირ დირექტორთან მოელაპარაკნა ამ საქმეზე. როცა დირექტორი გრუშევსკი კარგად თურმე გაეცნო ხემს „რუსკოე სლოვო“-ს, იგი ხელუხლებლად დასტოვა კავკავის სკოლაში და სამოსწავლო გეგმაც უცვლელი დარჩა.

შარშან ცენტრალურ მაღაზიის პატრონმა შემხვდა სასახლის წანა, მომიახლოვდა და მითხრა: დღემდის ერევნის გუბერნიის სომხურს სკოლებში ხმარობდნენ ჩერნიაევსკის წიგნსა, რომელშიაც სომხური ტექსტიც არის, ახლა-კი ითხოვენ ლევიცკის კურსსა; არ შეიძლება, რომ აქაურ დირექტორს ბ-ნს ჭიჭინაძეს მისწეროთ, ნუ შეიტანს ამ წიგნსა, თორემ ტფილისის გუბერნიაშიაც შემოიღებენ და საქმე წავახდება ქართველებისაცა და სომხებისაცაო. მე ვუპასუხე: ჩემი თხოვნით არაფერი გაკეთდება და წერილის გაგზავნა ფუჭად ჩაივლის მეთქი.

ამ უკანასკნელ ფაქტს ადასტურებს თავის წერილში ბ-ნი ჭიჭინაძე და ამბობს, რომ ლევიცკის კურსი ერევნის გუბერნიაში შემოიღეთ თანახმად სამოსწავლო მთავრობის სურვილისაო. მაშ რაღად გამოკვლევასა, ჩვენც ხომ მხოლოდ ესა ვსთქვით, და სხვა არაფერი დავუმატებია. მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ ეს სურვილი მთავრობისა არც ისე ძლიერი იყო, რომ მისი ურჩობა შეუძლებელი ყოფილიყო. ტფილისის დირექციამ თავის სკოლებში ამ კურსს გზა არ გაუხსნა, თუმცა მთავრობა მასზე უფრო ძლიერად მოქმედობდა სიახლოვის გამო. მეტად მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ინსპექტორმა პავლოვმა, რომელმაც არც ერთს თავის რაიონის სკოლაში იგი არ შეუშვა, და ამას ამართლებდა მთავრობის წინაშე იმ მოსაზრებით, რომ მასწავლებელნი წინააღმდეგნი არიან ლევიცკის წიგნისა და მე ჩემს თავს ნებას ვერ მივსცემ დავარღვიო მათი უფლება სახელმძღვანელოს ამორჩევის შესახებაო. ეს ის ინსპექტორი პავლოვი იყო, რომელმაც დუმბაძე—ბაღდანოვის პროცესის დროს სამხედრო სასამართლოში ასეთი ჩვენება მისცა სასარგებლოდ დუმბაძისა და წინააღმდეგ ბაღდანოვისა, რომ პროკურორი პირველის მოსარჩლედ გადაიქცა, რის გამოც გვეღირსა „კავკაზის“ სვეტიდან გამათეე იმასაც ბრძანებს, რომ მე ვურჩევდი მასწავლებლებს ლევიცკის კურსის ხმარების დროს, თვალ-საჩინო ღონისძიებას გარდა, ზეპირი თარგმანიც ეხმარათო. ეს მართალი ბრძანებაა. მაგრამ თუ კი ჩაუკვირდებით კარგად საქმეს, ეს ხერხი, პირველი შეხედვით სიმპატიური, არა სასურველი გამოვა. და გამოვა იმის გამო, რომ ამითი ფეხი უმაგრდება სკოლებში ამისთანა სახელმძღვანელოს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარს მშობლიურსა და ენების მეტს ვერაფერს ვერ მოუტანს. მაგალითად: კურსი თხოულობს, რომ ქართველმა ბავშვმა კითხვაზე: სადა ცხოვრობს, უსათუოდ მიუგოს: რუსეთშიაო. მას ცოდვად მიაჩნია ხსენებაც კი საქართველოსი. ზეპირი თარგმანის ხმარება ზოგს შემთხვევაში ასუსტებდა ერთის მხრით მასწავლებლების და მშობლების სიძულვილს სახელმძღვანელოსადმი, მეორე მხრივ ამცირებდა უნაყოფობას ბუნებრივის მეთოდისას და ამ მეთოდის გამეფებას ჩვენს სკოლებში ხელს უწყობდა. სწორედ ამის გამო არც ავტორი-ლევიცკი, არც სამოსწავლო მთავრობა კურსის ხმარების დროს არამც თუ არ უკრძალავდნენ ზეპირ თარგმანს, არამედ ურჩევდნენ ყოველ საჭირო შემთხვევაში. გონჯ ქალს სარდენენ მზითევის დამატებით, და ამ შემთხვევაში მზითევის როლს თამაშობდა ზეპირ თარგმანი სიტყვებისა. ჩემი აზრით, ბევრად უკეთესად მოიქცეოდა ბ-ნი ჭიჭინაძე, რომ ლევიცკის კურსის ხმარების დროს თარგმანი სასტიკად აეკრძალა, თანახმად ბუნებრივის მეთოდის მოთხოვნილებისა. მაშინ ამ მეთოდის უვარგისობა, უნაყოფობა და სისასტიკე დღესავით ცხადი შეიქნებოდა, სიძულვილი მასწავლებლებისა და ბავშვებისა გაძლიერდებოდა და ამითი სამარე გაუთხრებოდა მას ჩვენს სკოლაში. რა სიკეთესა სძენს მოსწავლეებს ზეპირი თარგმანი სიტყვებისა? არაფერს. მან ეს სიტყვები კარგად იცის და ახალს არაფერს არა სწავლობს. ამ გვარი თარგმანი თვით მასწავლებლისაგან თხოულობს მხოლოდ ლექსიკონის ცოდნას, სხვას არაფერს. შეიძლება ბავშვმაც და მასწავლებელმაც ასეც არ იცოდეს მშობლიური ნაზანინან ამისთანა წიგნს ახმარებდნენ რამდენისამე წლის განმავლობაში და ჩვენშიაც სწა-პირის თარგმანის დამატებით.

სრულიად სხვაა, როცა თვით სახელმძღ ლოშაა დაბეჭდილი თარგმანი სიტყვებისა იგი ითხოვს მთელის მოთხრობების თარგმ დედა-ენიდან რუსულ ენაზე. ამ შემთხვევ სკოლა იძულებულია, მშობლიური წერა-კითხ და წიგნი წარუმძღვაროს წინ რუსულ წიგ თუ ამასთან ეს სახელმძღვანელო დაკავშირებ დია მშობლიურ ცხოვრებასთან, გარემო [illegible] დედა-ენის შენობ თან და მის სახელმძღვანელოსთან, მაშინ წინ ედრება ერის დენაციონალიზაციას და სის დედა-ენის გაუქმებასა, და ეს უკანასკნელ ტენდენცია კი ჩვენში მოქმედობდა უკანასკნ ჟამამდე სრულის უდრობლობით.

შარშან ბ-ნმა თლოევმა, საეპარქიო სკოლ მეთვალყურემ, „სასულიერო მოამბის“ ფუ რცლიდან მისაყვედურა: ლექსიურს განყოფ ლებაში, რომელსაც ბავშვები არ კითხულობ თარგმანი ნაკლებად აქვს, თვალის ასახვევ და შემდეგში კი თარგმანი თან და თან ძლ ძლიერდება, ხშირდება და ბოლოს მთელი სული ლექსიკონი, Русское Слово-ს ნაწილში ხმარებული, მთლად აქვს გადათ გმნილიო. ბ-ნი ჭიჭინაძეც აღნიშნავს თარგმ ნაკლებობას ლექსიურს განყოფილებაში, მაგ სხვა განზრახვით: მე გოგებაშვილმა მივაღ ლევიცკის კურსის შემოღება სკოლებშიო; მ რამ თუ ჩაუკვირდებით მის ლექსიურს განყოფ ლებას, იქაც შეხვდებით ელემენტებს ბუნებ ვი მეთოდისასა.

ამის შესახებ აი რა უნდა მოგახსენოთ: ბ მეთოდიურს სახელმძღვანელოში მასწავლებ თვითონ არის დირსებას ვადიარებ ბუნებრივ თოდისას, თვალსაჩინოებას (Наглядность) სწავლების სიცხოველეს живость, пре дованія.) ამავე დირსებას ჰხედავენ მეთოდში ის პედაგოგებიც კი, რომელ ეწინააღმდეგებიან მას, მაგალითად ბობრ ვნიკოვი. „Русское Слово“-ს შედგენის დ ს ჩვენ ვცდილობდით ეს დირსება მიგვ ნიჭება მისთვის. ეს გარემოება ახლოვებს ჩვ სახელმძღვანელოს ბუნებრივს მეთოდთან; გრამ ვეღლ სხვა მხრივ „Русское Слов სრულიად სხვა გზას ადგია და სასტიკად

პასუხის გებაში მიცემულნი არიან ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი ნოე თებზაძე, ესტატე ნიკოლაიშვილი, ტიხონ სანაძე და ტფილისის მაზრის მცხოვრები ილია ნებიერიძე. საქმის ვითარებას შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს.

◆ 1 აგვისტოს, პირველ საპოლიციო უბანში, დუშეთის ქუჩაზე, საღამოს 10½ საათზე, ორმა უცნობმა კაცმა **სამჯერ ესროლა რევოლვერი ამ უბნის ზედამხედველს გაბილაიას.** ორი ტყვია მკერდში მოხვდა, ერთი კიდევ მარჯვენა ხელში. დაჭრილი გაბილაია გამოუდგა უცნობებს, მაგრამ ვერ დაეწია. დასისხლიანებული მივიდა საპოლიციო ნაწილში, საიდანაც მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, 1 ივლისს, საღამოთი, **რევოლვერით მოჰკლეს ჟანდარმი ბაიჩუკი.**

◆ **ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში** განმეორებითი და გადასასვლელი ეგზამენები დაიწყება 26 აგვისტოდან.

◆ **ტფილისის გუბერნატორი გენერალი ხვეჩინი,** როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, დაუნიშნავთ საგანგებო მინდობილებათა გენერლად შინაგან საქმეთა მინისტრთან.

◆ ინჟინერმა ფურცელმა ამას წინად ტფ. ქალაქის გამგეობას წარუდგინა პროექტი **კავკასიონის მთაზე რკინის გზის გაყვანისა.** ინჟინერი სწერს, რადგან ამ გზას ტფილისისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება, თვითმმართველობამ ხელი შეუწყოს იმის განხორციელებასაო.

◆ **იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსებს,** „ივერიის“ სიტყვით, უბრუნდებათ დამოუკიდებელ ეპისკოპოსების უფლებანი.

◆ რაჟდენ, შალვა და პლატონ შარაშენიძენი გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესად მადლობას უცხადებთ კარაკლისის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც არ დაიშურა თავისი წვლილი და ფული შემოსწირა, ვისაც რამდენი შეეძლო, 18 ივლისს კარაკლისთან სატვირთო მატარებლის № 133 დამტვრევის დროს გარდაცვლილის კონდუქტორის სიმონ შარაშენიძის დასასაფლავებლად. მადლობას უცხადებთ შემომწირველთ (48 კაცს) უფრო იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც მათ აღმოგვიჩინეს ნაცვლად ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისა. რომელსაც ერთი გროშიც არ გაუღია გარდაცვლილის დასამარხავად ან მის მშობლებისათვის სხვა რამე ქონებრივ შემწეობის აღმოსაჩენად“.

◆ ტფილისის ქალაქის სკოლების გამგე კომისიას 2 აგვისტოს სხდომა ჰქონდა ნავთლუღში ახლად დაარსებულ საქალაქო სკოლის შენობის დასაქირავებლად ღონისძიებათა მისაღებად. ამ სკოლის გამგემ ქ-ნ. ვახვახიშვილმა აცნობა კომისიას, რომ თუმცა იგი შეეცადა, მაგრამ არსად მოხერხებული ბინა სკოლისათვის ამ კუთხეში არ აღმოჩნდა. ამასთან ქ-ნმა ვახვახიშვილმა კომისიას აცნობა, რომ ნავთლუღში სამი პირველ დაწყებითი სკოლა არსებობს, საეპარქიო, სამრევლო და სამონასტრო. ასე რომ ასეთ პატარა უბნისათვის ეს სკოლები საკმარისია და, ამიტომ მისის აზრით, უკეთესია ეს სკოლა დროებით მაინც ქალაქის იმ უბანში გაიხსნას, სადაც უფრო საჭიროა. კომისიამ მიიღო ესეთი მოსაზრება ვახვახიშვილისა და დაადგინა სკოლისათვის შენობა პოლიციის მე-3 ან 5 ნაწილებში გამონახოს.

◆ ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ნ. ო. თამამშევმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში. ხმოსანი ითხოვს, გამგეობამ იღონოს რამე, რომ სასამართლოს ქუჩიდან გატანილ იქმნას მეეტლე-რუსთა ცხენების საჯინიბოები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაავალა ბელგიის უსახელო საზოგადოებას დააწყოს ქალაქის კასაში სარგებლიან ქაღალდებით ის 400,000 მან. წინდები, რომლითაც შუა ბაზარი უნდა გაფართოვდეს.

◆ 30 ივლისს ბათუმის, გაზეთის სიტყვით, რამდენიმე ყაჩაღი თავს დაესხა ნაგომარიდან ოზურგეთში მომავალ დილიჟანს. ყაჩაღებს წაურთმევიათ 160 მან. და საათი. მგზავრები შეუდგნენ ქურდების აღმოჩენას.

◆ 2 აგვისტოს, ღამე, მე-10 ნაწილში რკინის გზის კონდუქტორს ნესტორ ლუგოვენკოს თავს დაესხა ოთხი შეიარაღებული კაცი და ფული მოსთხოვა. ხმაურობაზე მეზობლები მიცვივნულან და უცნობნი გაქცეულან. პოლიციამ შეიპყრო ვიღაც საყვარელიძე, რომელსაც პოლიციის აზრით მონაწილეობა უნდა მიეღოს ამ ბოროტმოქმედებაში.

შეცდომის გასწორება. „ცნობის ფურცლის“ მე-2872 ნომერში, „პასუხი ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს“-ში შეცდომები შეპარულა. უნდა იყოს: წერილის პირველ სვეტში: Самихъ грузинъ; მე-24 სტრიქონში თავიდან—ანგარებით მოქმედებისას; მე-32 სტრიქონში ბოლოდან—რაშიაც დარწმუნებული გიყავი; მე-29 სტრიქონში ბოლოდან—უპირატესობაში; მე-22 სტრიქონში ბოლოდან—სახელმძღვანელოს ავტორიცაა. უკანასკნელ სვეტში, ბოლოდან მე-9 სტრიქონში—არ ეთანხმებოდა. მე-2873 ნომერში, წერილის უკანასკნელ სვეტში, ბოლოდან მე-15 სტრიქონში უნდა იყოს: Яйцо.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს ახალი პროექტი დამტკიცებულია. 6 აგვისტოს გამოცხადდება მანიფესტი, რომლის შედგენა მიენდო პობედონოსცევს.

სოფლად

ქვემო რაჭა. რაჭა ყოველთვის გაჭირვებული იყო და დღესაც არის. რაჭაში სიმინდს ყველა ყიდულობს: ყიდულობს გლეხი, ყიდულობს აზნაური და თავადი. სასირცხოთ არ მიგვაჩნია სარჩოს ყიდვა, ჩემო ბატონო, მაგრამ, მაგარი ის გახლავთ, რომ ფარა არ მოგვეპოვება. როგორც ყოველთვის და ყველგან, კუჭს იძღობს შეძლებული, ღარიბი და ღატაკი მშიერი რჩება. ყოველ დღე შეხვდებით ისეთ გლეხს, რომელსაც ცარიელი ტომარა მხარზე გადაუგდია და დაეხეტება აქეთ-იქით. მიდის მეზობელთან, სიმინდი მასესხეო, მაგრამ უარით ბრუნდება. ორჯერ-სამჯერ შევხვდი იმისთანა გლეხს, რომელმაც შემომჩივლა, სამი დღე არაფერი მიჭამია, ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცებაო: „ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება, სამი დღე არაფერი მიჭამია“. როგორი დრამაა მკითხველო! ვყიდულობთ სიმინდს ოსებისაგან, ვყიდულობთ იმერეთიდან მოტანილსაც. ნუ კი გეგონებათ, რაჭველები ზარმაცები იყვნენ და იმიტომ შიოდეთ! რა ჰქნას მუშამ, მიწა რომ არა აქვს.

აი, ამისთანა დროს გლეხს კისრიდან აღებული ფულის სადღაც ინახება და თვითონ გლეხი კი შიმშილით კვდება. როგორც მკითხველს მოეხსენება, მთავრობა აგროვებს ყოველ წელს ყოველ გლეხისაგან ორ-ორ აბაზს, მალაზიის ფულად წოდებულს. ამ ფულს ის დანიშნულება უნდა ჰქონოდა, რომ, როცა გაუჭირდებოდა ხალხს, უნდა ესარგებლნა. ამაზე მეტად ხომ აღარ გაუჭირდება, შიმშილით იხოცება და ეს არის! აი ეხლა გვინდა მალაზიის ფული, ეხლა უნდა მიაქციონ ყურადღება ხალხის გაჭირვებას. მაგრამ განა ბიუროკრატია როდისმე ყოფილა ხალხის გულ-შემატკივარი, რომ ეხლა იყოს! უბედურება არ არის, რომ კაცს თავის საკუთარ ქონებას არ აძლევდნენ კუჭი გამოიძღოს? ფულის დაბრუნება ითხოვა ამბროლაურის საზოგადოებამ. სოფლის წარმომადგენელნი მაზრის უფროსმა გაგზავნა ონში, იქ მიიღებთო. ხაზინამ კი გაგზავნა ქუთაისში, საგლეხო საკრებულოში. იქიდან კიდევ შეიძლება ტფილისში გაგზავნონ და ტფილისიდან პეტერბურგს. იმის მიღებას ჩვენ კი არა, ვგონებ, ჩვენი შვილი-შვილებიც ვერ მოესწრებიან

დალოცვილმა „ერთობამ“ წესში არც მედუქნეების საქმე დასტოვა უყურადღებოდ. 24 ივლისს მოხდა სოფლელების ყრილობა. დაადგინეს შემდეგი: კვირა უქმე დღეს, წირვის გამოსვლამდის უნდა დაიკეტოს დუქნები. ამ დადგენილების ძალით, გლეხს უფლება არა აქვს დუქანში შევიდეს და ღვინო ან არაყი დალიოს. ხშირად მომხდარა, რომ რომელსამე გლეხს სახლიდან სიმინდი წაუღია წისქვილზე დასაფქვავად, მაგრამ დუქანში შესულა, გაუყიდნია და იქვე შეუჭამია. ვინც საქმე დღეს დუქანში გაჩერდება უსაქმოდ, დაისჯება ჯარიმით. მედუქნეს უფლება არა აქვს სიმინდი ან სხვა რამე სანოვაგე იყიდოს იმ დრომდე, მინამ სოფლელები არ დაკმაყოფილდებიან.

21 ივლისს სოფლებმა ხიმშმა, წესმა და კვაცხუთმა განაჩენი დაადგინეს. იმ ამხანაგობას, რომელსაც რაჭაზე რკინის გზა გაჰყავს, ფასი არ გამოართვან ყანასა, ტყესა და არც სხვა ადგილებში. როკალის რკინის გზის გამყვან საზოგადოების წარმომადგენელი თვითონ იყო აქ წესში და მოელაპარაკა გლეხობას. როცა რაჭიდან განაჩენები დამზადდება, რკინის გზის მუშაობაც დაიწყებაო. რაჭიდან რკინის გზა მერე კავკავის გზას უნდა შეუერთოთო. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ეს დიდად სასარგებლო ამბავი. იქნება მაშინ მაინც ეშველოს რაჭველ მუშას და ცხრა მთას იქით აღარ დასჭირდეს ხეტიალი სამუშაოს საძებნელად.

ვ. ჭიჭინაძე.

რუსეთის ქრონიკა

მთავრობის საწინააღმდეგო საქმეში შენიშნული სალდათები. 29 ივლისს პეტერბურგის სამხედრო სასამართლოში ირჩეოდა დვინის პოლკის სალდათების იაკიმოვისა და გარბაროვის საქმე, რომელთაც ჰბრალდებათ მთავრობის საწინააღმდეგო წიგნებისა და პროკლამაციების გავრცელება სალდათებს შორის. დამცველებად უფიციდან ნაფიცი ვექილი ანდრეევსკი და კაპიტ. საზონოვი. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაურჩევიათ. („ნ. ვ.“).

მთავრობის მიერ დარიგებული თოფები და პატრონები. ეიზდიარის მოქალაქეთათვის თავის დასაცველად მთავრობას 400 თოფი დაურიგებია და ას-ასი პატრონი თითო კაცისათვის. („ნ. ვ.“).

თავდაცვის საშუალების წინააღმდეგ. ეკატერინოსლავიდან აცნობებენ „რ. ს.“-ს, რომ იქ ბეჯითად შესდგომიან იმ წრეების აღმოფხვრას, რომელნიც დაარსდა ხულიგანებისა და სხვა ბოროტ-მოქმედთაგან თავის დასაცველად. სხვათა შორის დაუკეტიათ სინაგოგა (თორა), რომელშიაც ხშირად იკრიბებოდნენ ეს წრეები. („რ. ვ.“).

პრესის შევიწროებული მდგომარეობა. სამკურნალო საზოგადოებას ვორონეჟში შეუჩერებია ჟურნალ „მედიც. ბესედა“-ს გამოცემა, რომელიც 19 წელიწადია, რაც გამოდის. ჟურნალის შეჩერების მიზეზი ყოფილა ცენზურის მძიმე პირობები. („რ. ს.“).

დამნაშავენი სამხედრო სამართალში. რიგიდან ატყობინებენ გაზეთებს, რომ ისინი, რომელნიც ყუმბარებსა და სხვა ამაფეთქებელ იარაღს ხმარობდნენ, სამხედრო სამართალში იქმნებიან მიცემულნი. („რ. ვ.“).

„რეიტერი“-ს სააგენტოს კორესპონდენტი კიევში. ამ ჟამად კიევში იმყოფება „რეიტერის“ სააგენტოს კორესპონდენტი რობერტ ატერი, რომელიც საგანგებოდ არის გამოგზავნილი თურმე რუსეთში, რომ აცნობოს დეპეშებით რუსეთის ყველა ამბები. („ვ. ნ.“).

არეულობის მოთავე გლეხნი სამართალში. ხარკოვის სამოსამართლო პალატის სესია ქ. ოსტროგოჟსკში 26 ივლისიდან შესდგომია კნ. იუსუპოვის მამულებში მომხდარ არეულობის საქმის განხილვას. ბრალი ედება 59 გლეხს. მოწმედ 140 კაცია დანიშნული. საქმის გამოძიებამ სამ-ოთხ დღეს გასტანა. („ნ. ვ.“).

ახალი საშუალება ლოთობის წინააღმდეგ. რუსეთის სიფხიზლის საზოგადოებას დიდი ყურადღება მიუქცევია ახალ საშუალებისათვის, რომლითაც არჩენენ თურმე ლოთებსა. ეს საშუალება ერთ-გვარი შრატია, რომლის ზედ-მოქმედება პირველად უცდია პროფ. საპედიეს, და დარწმუნებულა, რომ ამის შეშხაპუნებას ცხადი ზედ-გავლენა აქვს ლოთებზე. ავადმყოფის მდგომარეობა თან და თან უმჯობესდება, მოსაზრება უბრუნდება, დაკარგული მადა უბრუნდება და ავადმყოფი სრულიად რჩება. შრატი მზადდება ცხენის სისხლისაგან. ცხენს წინდაწინვე ასმევენ ცოტ-ცოტა არაყს, რის გამოც იმის სისხლს ეძლევა „ანტი-ტოქსინი“ (შხამის წინააღმდეგი ძალა), რომელიც აქარწყლებს ალკოჰოლის შხამს და ისე მოქმედებს, როგორც შრატი დიფტერიტისა და შავი ჭირის წინააღმდეგ. („რ.“).

ძალა ღმერთისა ხნავს. პრივისლიანის რკინის გზების გამგეობას არ მიუღია სადგურებზე და ვაგონებში გასაკრავად განცხადება პოლონურ ენაზე. ამის გამო ერთ ვარშაველ ადვოკატს საჩივარი შეუტანია გზის გამგეობის წინააღმდეგ, მაგრამ გზათა მინისტრს ეს საჩივარი უყურადღებოდ დაუტოვებია. („ს. ო.“).

საყურადღებო ფაქტი. მოსკოვის საინტენდანტოს გადაუწყვეტია შინაური საშუალებით დაემზადებინა პერანგები სალდათებისათვის, მაგრამ შემდეგ ამ პერანგების დამზადება გადაეცა მოიჯარადრისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს მთელი საქმე მეორედ ფასად ჩაუბარებია მოსკოვის ერთ სახელოსნოსათვის. („ს. ატ.“).

პრესსა

გაზეთი „რუს“-ი ანგარიშობს იმ რეაქციონერთა ძალას, რომელნიც წინააღუდგნენ განმათავისუფლებელ მოძრაობას და ცდილობენ რეფორმის შეჩერებას. ბევრს ჰგონია, რომ ძირითად რეფორმის წინააღმდეგი სულ ერთი მუჭა რეაქციონერია, რომელთაც არავითარი გავლენა არა აქვთ; მაგრამ ეს შეცდომაა: პირიქით, საკითხის გამოკვლევა ამტკიცებს, რომ

> რეფორმის წინააღმდეგნი მარტო თავ. მეშჩერსკი, გრინგმუტი და ამხ. კი არ არიან, არამედ უფრო ძლიერი და გავლენიანი პირები. რეფორმის მომხრეებმა კარგად იციან, ვინაა და რამდენია მათ წინააღმდეგ; მათი სახელი და გვარიც ამ დღეებში დაიბეჭდა უცხოეთის გაზეთებში, ვინც პეტერგოფის განსაკუთრებულ საბჭოში იყო წინააღმდეგი რეფორმის განხორციელებისა. განა შესაძლებელია ერთ მუჭა მოწინააღმდეგეებზე ფიქრი, როცა ისეთ უმნიშვნელო და ზომიერ რეფორმას, როგორიც ბულიგინის პროექტია, ეწინააღმდეგებიან რამდენიმე მინისტრი, ხელმწიფის რამდენიმე კარის კაცი, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, სენატორები და სხვანი?! ყველამ იცის, რომ რუსეთის მთავრობისა და წარჩინებულ საზოგადოების წრეებში ჯერაც ბევრია იმისთანები, რომელნიც სულითა და გულით ეწინააღმდეგებიან ძირითად რეფორმას და ყოველ ღონის-ძიებას მიმართავენ, რომ იგი არ განხორციელდეს. ასეთ ძალების აბუჩად აგდება ისეთივე შეცდომა იქმნება, როგორიც რუსეთის ბიუროკრატიას მოუვიდა, როცა იაპონია არაფრად ჩააგდო და ომი გამოუცხადა.

ჩვენ, რასაკვირველია, ერთს წუთსაც არ ვივიწყებთ, რომ საბოლოო გამარჯვება განმათავი-

---

თვალსაჩინოობის და თარგმანის როლი ასე განსაზღვრული ჩემს სახელმძღვანელოში; რასაც ბავშვი თავისი თვალით ხედავს, ის პირდაპირ რუსულად დაესახელოთ, რასაც ვერ ხედავს, დედა-ენის შუამავლობით აეხსნათ. რადგან უხილავი ხილულს აღემატება ერთი ათად მაინც, ამის გამო რუსულის ენის ცხრა მეათედი ისწავლება დედა-ენის დახმარებით, ერთი მეათედი კი გრძნობათა დაკვირვებით. მაგრამ ზოგნი ამბობენ: რა წახდებოდა, რომ ხილული საგნების შესახებაც თარგმანი გეხმარათ? ის წახდებოდა, ჩემო მკითხველო, რომ ამითი პოლიტიკანებს მივცემდით საფუძველს ძირი სრულიად გამოეთხარათ თარგმანისათვის. შემოვიდოდა ამისთანა პოლიტიკანი სკოლაში და ადვილად დაგვიმტკიცებდა, რომ ხილულის საგნების რუსულს სახელებს ადვილად ითვისებენ ბავშვები უთარგმნოდაც, და აქედან იმ დასკვნას გამოიყვანდა, რომ ყველა სხვა სიტყვების შეგნებაც უთარგმნოდ შესაძლებელია და გაამართლებდა მუნჯურ მეთოდს. ამ შემთხვევაში ყოველ ქართველ პედაგოგს, რომელიც ყველა სიტყვას გადათარგმნიდა, დაემართებოდა იგივე, რაც დაემართება ხოლმე მას, ვინც სიმართლეში სიტყვასაც ურევს: რაც უნდა მართალი თქვას, დამჯერი აღარავინ ჰყავს, ყველა მისი სიმართლე გაბათილებულია. ქართველ პედაგოგს კი შეურყეველი სიმართლე მეტად ესაჭიროება, რადგანაც მხოლოდ ეს სიმართლე აძლევს მას იმ ზნეობრივ ძალას, რომლის წინაშე არა ერთხელ მოუხრია ქედი ადგილობრივს პოლიტიკანსაც...

მაგრამ სიტყვების თარგმანი მხოლოდ გარეგანად აკავშირებს რუსულ სახელმძღვანელოს სამშობლოსთან. ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს შინაგან კავშირს. ამ კავშირის განმახორციელებელი და განმტკიცებელია ქართული შინაარსი რუსულის სახელმძღვანელოსი, ქართული სანახაობა ფიზიკური და სულიერი, ქართული სული და გული. როცა ქართველი ბავშვი სწავლობს ამისთანა სახელმძღვანელოს, იგი უნდა ფიქრობდეს და გრძნობდეს ქართულად, რუსულ ენაზე *).

გვაქვს ამისთანა სახელმძღვანელო დღეს ჩვენ, ქართველებსა? სახელმძღვანელო დასრულებული და დამთავრებული? არა, არა გვაქვს, მოკლებული ვართ. მართალია ჩემი „Русское Слово“ ამ დონეზე დავაყენე იმავ თავით, მაგრამ შუა გზაზედ გაჩერდა. და გაჩერდა იმის გამო, რომ გათამამებულმა პოლიტიკანობამ დაუმთავრებელი ნაციონალურ-პედაგოგიური წიგნიც კი მიუტევებელ ცოდვად ჩამოთვალა და ბოლოს აკრძალვა დაადვა ორივე უწყების სკოლებში. მიანიჭეთ თავისუფლება ხალხურს სკოლას, აღკვეთეთ პოლიტიკანები და მაშინ მოეხდება სასურველად დამთავრება რუსული სახელმძღვანელოსა.

ბ-ნი ჭიჭინაძე მეუბნება: განა არ შეიძლება ქართველი გულწრფელი მომხრე იყოს მუნჯური მეთოდისა? ვუპასუხებ: ჩვენს გარემოებაში, არ შეიძლება, თუ იგი ქართული ცნების სიფხიზლეს მოკლებული არ არის. როცა დეკანოზმა გოსტოროვმა პეტერბურგში საჯარო ლექცია წაიკითხა ჩვენებური სკოლების შესახებ, მან გულ ახდით აღიარა, რომ მუნჯური მეთოდი სწორედ საუკეთესო ღონისძიებაა, რომ ქართულ სკოლიდან დედაენა გამოვდევნოთ და ყველა საგნები თავიდანვე რუსულ ენაზე ვასწავლოთო. მაგრამ რა საჭიროა შორს, პეტერბურგში წასვლა. აიღეთ აქ, ტფილისში, დაბეჭდილი უკანასკნელი ანგარიში ბატონის მზრუნველისა და თქვენ იქ ამოიკითხავთ შემდეგს სიტყვებსა: Благодаря повсемѣстному примѣненію въ преподаваніи русскаго языка такъ называемаго натуральнаго метода, въ настоящее время въ громадномъ большинствѣ начальныхъ училищъ округа (92,4 проц.) все преподаваніе ведется *исключительно* на русскомъ языкѣ“. აი რისთვის არის შემოღებული მუნჯური მეთოდი ჩვენს ქვეყანაში. ამას გრძნობს ყოველი ქართველი, დიდი და პატარა, კაცი თუ ქალი, იმერი და ამერი და ივსება სიძულვილით მუნჯური მეთოდისადმი. და თქვენ კი ამ შემთხვევაში უმანკო გულწრფელობაზე ლაპარაკობთ. ცოდვა არ არის!

თქვენ, პატივცემულო ალექსი ბესარიონისძევ, თქვენ წერილში შეეხეთ თქვენს გამოსვლას სააზნაურო სკოლიდან და შეეხეთ იმ სახით, რგვლივ, უნებლიედ) იმ ჭორს, ვითომც მე წინააღმდეგი ვყოფილიყავ თქვენის გამწესებისა ინსპექტორად და მერმე თქვენს გაძევებაში მონაწილეობა მქონოდა... იძულებული ვარ გამოვაქვეყნო ნამდვილი და უტყუარი ფაქტები, რომელნიც დღესავით ცხადად დაამტკიცებენ წინააღმდეგს და ჭორიკანა პედაგოგებს წამოაწითლებენ.

1883 წელს, ივნისს 15 დღეს ქუთაისიდან ბ-ნი ალექსი ჭიჭინაძისაგან მივიღე შემდეგი წერილი: „არ ვიცი მართალია, თუ არა და მითხრეს კი, რომ სამოსწავლო მაზრის მზრუნველი არ ამტკიცებსო ვასილ უთვაანს ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორად. თუ მართალია ეს ამბავი და კომიტეტს ჰსურს ვინმე მოიწვიოს უთვაანის მაგიერ, იქმნება ჩემი გადაყვანა მოახერხოთ მის ინსპექტორის თანამდებობაზე“-ო. და სხვანი. კომიტეტმა არა ჩვეულებრივი სიმტკიცე და უნარი გამოიჩინა, და ბოლოს როგორც იყო, დაამტკიცებინა ინსპექტორად ბ-ნი ვასილ უთვაანი. რასაკვირველია, მეც, რაც-კი შემეძლო, ვიცავდი კომიტეტის უფლებას, როგორც მისი წევრი, თუ თავმჯდომარის ამხანაგი.

გავიდა სამი წელიწადი. ბ-ნი უთვაანი იძულებული გახდა გულის ავადმყოფობის გამო შავის ზღვის პირად წასულიყო ერთის წლით სამკურნალოდ, და ინსპექტორობას თავი დაანება, თუმცა კომიტეტი ეხვეწებოდა ამ თანამდებობაზე დარჩენილიყო. გაიხსნა ინსპექტორის ვაკანსია. მე მაშინვე წავაყენე კანდიდატურა ბ-ნ ალექსისა, რომლისაგან ახალი წერილი მივიღე, და ასე დავასაბუთე: როცა სხვანი უნივერსიტეტებს ასრულებენ, ეჩქარებიან ჩინოვნიკად შევიდნენ, კარიერა გაიკეთონ და ჩინ-ორდენების გზას დაადგნენ; მან კი სხვა გზა აირჩია: გახსნა კერძო სასწავლებელი, მოიზიდა პატარა ქართველები და შეუდგა ხალხის განათლების სამსახურს. ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ იმას განათლების საქმე უყვარს. კერძო სასწავლებლიდან იგი გადავიდა ინსპექტორად ქუთაისურს სააზნაურო სკოლაში და ამოდენა ხნის განმავლობაში მას უნდა ჯეროვანი გამოცდილება შეეძინა. ამისთანა კანდიდატი ჩვენთვის სწორედ პოვნაა და მე ვურჩევ კომიტეტს დაუყოვნებლივ სტოს. კომიტეტი არა ჩქარობდა, იგი ეძებდა ახალს კანდიდატებს და ამასობაში გაიარა მთელმა ორმა კვირამა. ბოლოს დავითანხმე თავმჯდომარე კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი და ჩვენ ორმა შევადგინეთ ხმათა უმეტესობა წინააღმდეგ ორის სხვა წევრისა. (დანარჩენები აგარაკად იყვნენ). ამის გამო სააგარაკოდ იმ წელს გვიანღა პირველს სექტემბერს, როცა სხვანი ჩამოვიდნენ აგარაკებიდანა...

ორის წლის შემდეგ მე გამოვედი სააზნაურო სკოლის კომიტეტიდან, თუმცა წინა არჩევნების დროს თითქმის ერთხმივ ვიყავ არჩეული. რა იყო ამისი მიზეზი? იქნება უსიამოვნება ინსპექტორთან? ჩვენ შორის არავითარი სახსენებელი უსიამოვნება არ მომხდარა, განწყობილება კარგი იყო, თუმცა ხასიათი სხვა და სხვა გვქონდა. ჩემი გამოსვლა კომიტეტისაგან გამოიწვია ორმა პრინციპიალურის თვისების გარემოებამ. პირველი გარემოება იმაში მდგომარეობდა, რომ ბ-ნმა ცხვედაძემ თავისი გაიყვანა და კლასიკური გიმნაზიის პროგრამა შემოიღებინა სააზნაურო სკოლაში. მე კი წინააღმდეგი ვიყავი კლასიციზმისა და რეალურ გიმნაზიას ვემხრობოდი. მეორე, უფრო მახლობელი მიზეზი ის გახლდათ, რომ კომიტეტმა მოიწადინა წინანდელი წესდება, რომლის შედგენაში მახლობელი მონაწილეობა მხვდა წილად, შეეცვალა წოდებრივ ინტერესის მიხედვით. მაგალითად, წინანდელი წესდება კომიტეტს ნებას აძლევდა ბანკის ხარჯით სკოლაში მიეღო არა მარტო თავად-აზნაურთა შვილები, არამედ დაბალის წოდების ბავშვებიცა, და იღებდა კიდეც. ეს დაბალი წოდების ბავშვები, პანსიონში მიღებულნი ბანკის ხარჯით, მაღალი წოდების შვილებს აძლევდნენ მაგალითს დიდის შრომის მოყვარეობისას და გულ-მოდგინე სწავლისას. უმეტეს ნაწილად იგინი ითვლებოდნენ პირველ მოწაფეებად, რეპეტიტორებად თავის კეთილშობილის ამხანაგებისა, და ჰხდებოდა ის სანატრელი მოვლენა, რომელსაც ჰქვიან წოდებათა გაერთიანება. კომიტეტმა მოინდომა შეეცვალა ხსენებული მუხლი ისე, რომ დაბალის წოდების შვილები ბანკის ხარჯით სკოლის პანსიონში აღარ მიეღო. მე კი ეს მომაჩნდა არა მარტო შეცდომად, არამედ დანაშაულად, უკიდურეს უსამართლობად. საქმე დაპირ ეწინააღმდეგებოდა სააზნაურო ბანკის წესდების შემდეგს მუხლს: чистая прибыль банка идетъ въ пользу землевладѣльческаго и земледѣльческаго сословія. ამიტომ მე განვუცხადე კომიტეტსა, თუ განზრახული ცვლილება შეწყნარებულ იქმნება, წევრობას თავს დავანებებ-მეთქი. ცვლილება მიიღო კომიტეტმა და მეც დავტოვე იგი. დასტოვა იგი აგრეთვე ცხვედაძემაც, რომელიც აგრეთვე წინააღმდეგი იყო წესდების ამგვარის ცვლილებისა. მაგრამ იგი მალე ისევ დაბრუნდა კომიტეტში, მე კი აღარ დავბრუნებულვარ და სრულიად მოვშორდი სააზნაურო სკოლასა, მისს ავსა და კარგსა, მოვშორდი იმდენად, რომ ხან წლიურს კრებაზედაც კი აღარ დავესწრობოდი ხოლმე.

სიმართლე მაიძულებს ვაღიარო, რომ ალექსი ბესარიონის ძე უფრო წოდებრივის ცვლილების მხარეს იყო, ვიდრე ჩვენსკენ. მაგრამ ამას ჩვენ შორის კეთილგანწყობილება საგრძნობლად არ შეურყევია. მაგალითად, როცა „ჯეჯილი“ აღკრძალულ იქმნა სასულიერო მთავრობის მიერ თანახმად ორის ქართველის მოხსენებისა, რომელთა შორის იყო ერთი ქართველი ცნობილი მექრონიკე, ბ-ნ ჭიჭინაძის მეუღლემ ევროსინე ნიკოლოზის ასულმა და მე როგორც „ჯეჯილი“-ს თანამშრომლებმა, გრძელი საჩივარი დავსწერეთ სინოდის სახელობაზე მათს სადგომში, რამაც თავისი გავლენა იქონია შემდეგში „ჯეჯილი“-ს მოწონებაზე სასულიერო მთავრობის მიერ.

ამიტომ, თუ შემდეგს წლებში ბ-ნმა ჭიჭინაძემ სააზნაურო სკოლა დასტოვა და ოფიციალურს უწყებაში გადავიდა, სხვათა შორის, შინაური უსიამოვნობის გამო რომელსამე კომიტეტის წევრთან, იმ უსიამოვნებაში მე იმდენივე მონაწილეობა მქონდა, რამდენიც რუსთა და იაპონელთა შორის ომის ატეხაში.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი მივულოცო პატივცემულ ალექსი ბესარიონის ძეს სამშობლოში დაბრუნება, ვუსურვო ნაყოფიერი შრომა დაუბრკოლებლივ ხალხის განათლების ასპარეზზე და გაძლიერება იმ სიმპატიისა, რომლითაც გამსჭვალულნი არიან მისდამი მისნი ნამოწაფარნი...

იაკობ გოგებაშვილი

---

*) იმედი, მაქვს მახლობელ მომავალში ვრცელი

სუფლებელ მოძრაობას დარჩება, მაგრამ რა-კი ომი დაიწყო, რაკი რეაქცია გვიძალდება, კარგად უნდა გვახსოვდეს, ვისთანაც გვაქვს საქმე, არ უნდა ვამცირებდეთ მტრის ძალას, არ უნდა ვყვიროდეთ, რომ მტერი უკვე ძლეულია. პირიქით, რეაქციამ მოგერებით პოლიტიკას თავი დაანება და შეუტია რეფორმატიულს მოძრაობას. ამიტომ ბრძოლა უფრო და უფრო გამწვავდება.

⁂

რამდენად ძნელი იქნება ბრძოლა ბნელ ძალებთან სჩანს პრესსის ახლანდელ მდგომარეობიდანო, ამბობს გაზეთი „სლოვო“. ხვალ იქნება თუ ზეგ სახალხო წარმომადგენლობის რეფორმა უნდა გამოცხადდესო და ჯერ არც პრესსის, არც სიტყვის თავისუფლებაზე კრინტიც არ დაძრულაო. ყველამ იცისო, განაგრძობს გაზეთი, რომ

საზოგადოებრივი კანტროლი არ შეიძლება განხორციელდეს, თუ სიტყვა და პრესსა არ იქმნა თავისუფალი. გვახსოვს მინისტრის გორემიკინის დროს „გრაჟდანინ“-ი იქმნა შეჩერებული რუსეთ-საფრანგეთის კავშირის სასაცილოდ აგდებისათვის. თავ. მეშჩერსკი ძალიან გააჯავრა ამ გარემოებამ, და ყველას უჩიოდა, თხოულობდა—გაზეთს სასჯელი ახსენითო. ვგონებ, გორემიკინის დაოხოვნაშიაც-კი წილი ჰქონდა თავ. მეშჩერსკის. ეს ფაქტიც კი ამტკიცებს, რომ პრესსის თავისუფლება ერთნაირად საჭიროა როგორც რეაქციონურ, ისე ლიბერალურ გაზეთებისათვის, ნამეტურ ისეთ დროს, როცა ძირითად რეფორმების მოლოდინშია საზოგადოება.

⁂

„რაზსვეტ“-ის № 131-ში დაბეჭდილია ბ-ნ გრ. გველესიანის წერილი სათაურით „საქალაქო სასწავლებლები კავკასიაში“. ბ-ნი გველესიანი აღნიშნავს მათ მრავალ ნაკლს და დასკვნის, რომ საჭიროა ამ სასწავლებლის სრული რეფორმაო. თავი და თავი საჭიროება-კი ის არის, რომ

ამ სკოლათა რეფორმის და გამგებლობის საქმე დაუყონებლივ გადაეცეს ადგილობრივ საქალაქო თვითმმართველობას. ქალაქს სრული უფლება უნდა ჰქონდეს საქალაქო სკოლების მართვა-გამგეობისა როგორც მეურნეობის, ისე პედაგოგიის მხრით; მხოლოდ ეს დააყენებს ამ სკოლას განახლების გზაზე.

წერილები

სოფ. ხუმელაგა (ოსეთი). დღემდის ხუმელაგაში გადამდებ სენივით იყო მოდებული ქურდობა, ქალის ტაცება, ხეხილების გადაჩეხა და სხვა ცუდი საქმე. დღეს ახალ დროის სიომ აქაც აჰკვეთა ყოველივე ეს. ამას წინად შეიკრიბნენ დიდიან-პატარიანად, მოიწვიეს თავიანთი მღვდელი, დაიფიცეს და დაადგინეს შემდეგი: 1. დღეის შემდეგ აღარა მოვიპაროთ-რა (სამი ყმაწვილი, ქურდობაში გათქმული, არ მოდიოდნენ ყრილობაზე ფიცის მისაღებად; ყრილობამ იგრიალა, წავიდა და სახლებიდან გამოათრია სიმივენი და სცემა მანამ, სანამ თვითონ არ შეეხვეწნენ, გვაპატიეთ, დავიფიცავთო) და არც დავფაროთ, თუ ვისმე შევამჩნიეთ ქურდობა; ვისაც ქურდობა აღმოაჩნდეს, ქურდი გაატიტვლონ და წაუსვან კუპრი; მერე რასაც მოიპარავს: ცხენს, ხარს, ძროხას, ცხვარს თუ სხვა საქონელს, იმის კუდზედ გამობან და ისე აატარ-ჩაატარონ სოფელზედ; თუ სხვა ნივთი რამ მოიპარა, კუპრ წასმულს დაჰკიდონ კისერზე ანუ აჰკიდონ ზურგზედ (თუ მძიმეა) მოპარული ნივთი და დაატარონ სოფელში. უნდა გადაახდევინონ აგრეთვე გარდა დანაკარგის ღირებულ ფასის, ჯარიმა 50 მ. სოფლის სასარგებლოდ და 50 მ. დანაკარგის პატრონის სასარგებლოდ (დამნაშავე ქურდს და სხვანაირ დამნაშავესაც კუპრი უნდა წაუსვას თავის ახლო ნათესავმა, რადგან სხვამ რომ წაუსვას, დასჯილ-დამნაშავე შურს იძიებს); 2. მოისპოს დიდი ურვათი, 700—800 მ. და ამის მაგივრად იყოს: ქალწულ ქალზედ—200 მან., მეორედ ვინც გათხოვდება,—100 მ. და მესამედ ვინც გათხოვდება—50 მ.; 3. მოისპოს ქალის მოტაცება; მომტაცებელს გადახდეს, გარდა ურვათისა, ჯარიმა: 50 მ. ქალის მშობლების სასარგებლოდ და 50 მ. სოფლის სასარგებლოდ, ქალი და ვაჟი კუპრწასმული უნდა ჩამოატარონ სოფელში, აგრეთვე უნდა გადახდეთ ხუთ-ხუთი თუმანი ჯარიმა იმ სოფლის სასარგებლოდ იმ გარეშე პირთ, რომელნიც ქალის მოტაცებაში დაეხმარებიან ქალის მომტაცებელს. 4. თუ ქალ-ვაჟი შესცდნენ, ნამუსი გაიწბილეს, ცუდის საქმის ჩადენით, გადახდეთ ორთავეს ხუთ-ხუთი თუმანი ჯარიმა სოფლის სასარგებლოდ, წაესვათ ორთავეს კუპრი და ჩამოტარებულ იქმნან სოფელზე ერთმანეთზე გადაბმულნი. სხვაც ბევრი რამ დაადგინეს სოფლელებმა. მოსპეს, მაგალითად, ქორწილში დიდი ხარჯი, ბევრის მაყრების წაყვანა და სხვა. ამ დადგენილებათა ყურისმგდებლად სოფელმა აარჩია ყველა გვარიდან ორ-ორ სამ-სამი კეთილ-საიმედო კაცი. ამათ თვალ-ყური უნდა ადევნონ სოფლის დადგენილებას, ყველამ თავ-თავიანთ გვარში.

ხუმელაგასავით მოიქცნენ სხვა ოსების სოფლებიც, გარდა არდონისა, ხოლო არდონელების დადგენილება ცოტათი განირჩევა. გარდა იმისა, რომ ქურდს კუპრს წაუსვამენ და ჩამოატარებენ სოფელში, უნდა მოგროვდეს სოფელი და სახლი დაუნგრიოს. რამდენიმე ასეთი მაგალითი კიდეც იყო არდონში.

ქურდობის უმთავრესი მიზეზნი ოსებში ქისტები არიან. ოსებმა ახლო-მახლო მცხოვრებ ქისტებს სთხოვეს: „თქვენც დაიფიცეთ ქურდობაზე, ან პირობა დასდეთ, თუ თქვენს სოფელში ნაქურდალის კვალი მოვიდა, გადაიხადოთ, ან გასცეთ ქურდიო. ქისტებმა უპასუხეს: კვალის მოტანაზე ვერას გადვიხდით, რადგან ერთი-ორი კაცი ქურდია, და ათიოცი პატიოსანია, ალალ-მართალი. „ქურდებს ვერ გავცემთ, რადგან გადაგვწვავენ და აღარას შეგვარჩენენო“. ერთის სიტყვით, ქისტებმა ახლანდელი დროის წესს ძველებური მამაპაპური ჩვეულება ამჯობინეს.

15 ივლისს სოფლებს ხუმელეგასა და ბათაყოში საშინელი სეტყვა და ქარიშხალი იყო. სეტყვამ ბევრი ადგილი გაანადგურა და საქონელი გაწყვიტა. ქარმა ბევრი სახლი დაანგრია, ხეები დაგლიჯა-დაამტვრია და ბათაყოს ეკკლესიას ქესტის სახურავი აჰყარა. წელს აქეთ პურ-ქერის მოსავალი კარგია, სიმინდსაც კარგი პირი უჩანს ჯერ-ჯერობით.

ქართველი ოსებში

დაბა ბაღდათი (იმერეთი). ჩვენს დაბაშიაც გამოიღვიძა ხალხმა. მრავალ-ტანჯულმა გლეხობამ თავი მაღლა აიღო, წელში გაიმართა და სცდილობს მოსპოს ყოველი უსამართლობა და ბოროტება. აქეთკენ ბევრ ადგილას დასწვეს სოფლის სასამართლოები, მემამულეთა სახლები. შემდეგ შეუდგნენ უფრო შეგნებულ მოქმედებას, რამაც მართლა კარგი ნაყოფი მოუტანა ხალხს. შეიკრიბნენ, მოილაპარაკეს და აირჩიეს ათის თავები და ასის თავები. ამათ დაავალეს სოფლად თვალ-ყურის გდება, მოსპობა ქურდობა-ყაჩაღობისა და ყოველ გვარ უწესოებისა. ჩვენში ეხლა შეგნებულ მოქმედებას ერთობას უწოდებენ. მართლაც, ამ ერთობამ ბევრი კარგი საქმე დაანახვა; ხალხი ერთმანეთს ულოცავს: „ერთობას გაუმარჯოსო“. აქამდის იმისთანა საქმეებს, რომელსაც სასამართლოში წლითი-წლობამდე არ არჩევდნენ, დღეს კი ერთობა ერთ საათში სწყვეტავს და არიგებს საქმეს. დღეს ქურდების სახელიც დაავიწყდათ აქეთ. გლეხების სიხარულს საზღვარი აღარა აქვს; ფიქრობენ, აწი მაინც გვეშველებაო. მოსპეს ლოთობა, ქელეხი და ყოველივე ის, რასაც ხალხს საზოგადოდ აღატაკებს და უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს. სოფელი აკეთებს გზებს. ამ ბეჯით მოქმედებას, ასე გასინჯეთ, „ბუნტი“ უწოდეს, ყაზახ-რუსები მოიწვიეს და აგერ ნახევარი წელიწადია, რაც აქ ყაზახ-რუსები დაბინავეს, რიცხვით ორმოცამდე.

აქ ძალიან ხშირად იკრიბებიან გლეხები თავიანთ ჭირ-ვარამზე მოსალაპარაკებლად. 17 ივლისს ბაღდათის თავზე შეიკრიბა დიდ-ძალი ხალხი მახლობელ სოფლებიდან. ბევრი ისაუბრეს. იქ იყვნენ ბაღდათის ვაჭრებიც. ვაჭრებმა მოილაპარაკეს კვირა-უქმე დღეებში მაღაზიების დაკეტვის შესახებ და კიდევაც სისრულეში მოიყვანეს. ხანგრძლივ ლაპარაკის შემდეგ ხალხი მშვიდობიანად დაიშალა. ამ დღეს ზეინდარშიაც დიდი ძალი ხალხი შეკრებილიყო.

ს—ძე.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ, რომ აი თითქმის თვენახევარია, რაც მე გორის მაზრის თავად-აზნაურთა მილიციას თავი დავანებე და შევუერთდი ჩემ ბიძაშვილების გადაწყვეტილებას, რომელიც უკვე გამოცხადებული იყო გაზეთში.

ლუარსაბ ფავლენიშვილი

II

ბატონო რედაქტორო

გთხოვთ უმორჩილესად, თქვენის პატივცემულ გაზეთით აუწყოთ საზოგადოებას, რომ ოზურგეთის მაზრის სოფ. ჯვარცმის მცხოვრებნი წელს, 6 აგვისტოს აღარ ვდღესასწაულობთ ფერისცვალებას, რადგან ამ დღესასწაულზე დიდძალი ხალხი იკრიბება და უზომო ზარალი მოგვდის. ამას გარდა ხშირად ჩხუბი და უსიამოვნება არის ხოლმე.

სილიბისტრო კილახნია

III

ბატონო რედაქტორო

ჩვენ, მცხოვრებნი ს. თეთრაწყაროსი (შორაპნის მაზ.), ვაცნობებთ ამით საზოგადოებას, რომ დღეის შემდეგ აღარ ვიხდით „კაი დღეს“ ფერისცვალებას 6 აგვისტოს, როგორც მაზარალებელ ჩვეულებას.

მცხოვრებთა მინდობილებით **ქ. ვეფხაძე**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

3 აგვისტო.

ოდესა, 2 აგვისტო. აქ მოსულ ცნობებით, იაპონიაში ტყვედ წაყვანილი პორტ-არტურის დამცველნი გენერლები ფოკი, სმირნოვი და სხვები განთავისუფლებულ იქნებიან და ოდესისაკენ გამოემგზავრებიანო.

პორტ-სმუტი, 2 აგვისტო. შესაძლებლად, მიაჩნიათ, რომ სადაო მუხლთა რიცხვი შემცირდება ორ მუხლამდე, რომელთა შესახებ შეტანილ წინადადებანი და კონტრ-წინადადებანი აძნელებს საქმეს. ამგვარად ყველასათვის აშკარა იქმნება, ვინ უნდა აგოს პასუხი, თუ განხეთქილება ჩამოვარდა. ეს ფაქტი იძლევა უმთავრესს იმედს, საქმის კარგად დაბოლოვებისას. მეოთხე მუხლზე სჯა-ბაასის დაწყების წინ ხელი მოაწერეს პირველ სამ მუხლს. იაპონიისა და რუსეთის სარწმუნო წყაროების ცნობით დარჩენილი 12 მუხლი შეადგენს საფუძველს ვაშინგტონის მომავალ ხელ-შეკრულობისას. რედაქციას ხელ-ახლა განიხილვენ. ამიტომ მიღებულ მუხლების რედაქციაც არ წარმოადგენს საბოლოოდ დამუშავებულ ტექსტს. დღეს, საღამოს სხდომაზე განიხილეს მეექვსე მუხლი და სრული შეთანხმება მოხდა. ლიაოდუნის კერძო საკუთრების საკითხს, როგორც ჩვეულებაა, გადასწყვეტს განსაკუთრებული კომისია ომის გათავების შემდეგ, როცა გამაგრებული ქალაქები ერთის ქვეყნის იურიდიქციიდან მეორის იურიდიქციას გადაეცემა. გარეგანი ნიშნები უფრო ადიდებენ ზავის იმედებს; ყოველ დღე ცოტაოდენი მოგება ეტყობა.

პორტ-სმუტი. აქ მოვიდა და სევასტოპოლისაკენ მიემგზავრება კრეისერი „კოსტრომა“.

ყაზანი. ერობას მადლობა მოუვიდა ლიწნევიჩისაგან, ყაზანის ლაზარეთის ჩინებულად შენახვისა და მისის მშვენიერ სანიტარულ მდგომარეობისათვის.

ბერლინი. „კელნიშე“-მ ოფიციოზური შენიშვნა მოათავსა, მეფე ედუარდი წავიდა ინგლისიდან და არ მოისურვა გერმანიის იმპერატორის ნახვა, რასაკვირველია ინგლისს უნდა გამოეთქვა ასეთი სურვილი, თუ მართლაც არ უნდოდათ გერმანიის იმპერატორის შეხვედრა. რადგანაც ეს არ მოხდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ცუდათ იყო გაგებული ინგლისის ზრახვა, როცა მან გამოაქვეყნა მონარქთა მომავალი შეხვედრა, რომელსაც ვითომც ინგლისსა და გერმანიას შორის არსებული განწყობილებათა გაუმჯობესება ჰქონდა მიზნად. ამ შენიშვნის კილო გვიჩვენებს, რომ გერმანიის ოფიციალურ წრეებში იმედი ჰქონდათ ედუარდი პირველი გადადგამს ნაბიჯს გართულებულ განწყობილების გაუმჯობესებისათვის. ახლა, როცა ეს არ მოხდა, გერმანია აცხადებს არ მსურს ჩემი მეგობრობა დავაძალო ინგლისსაო.

პეტერბურგი, 2 აგვისტოს. დღეს სამხედრო-საოლქო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა პროკოფიევს. დამცველი საკასაციო საჩივარს აძლევს. ქუთაისში ბოქაულ კუდიაროვის მკვლელ სიდორჩუკის საკასაციო საჩივარი მისი სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

პიატიგორსკი. გუშინ სადგურ „მინერალნია ვოდი“-ზე დეპოს ყველა მუშებმა, მემანქანეებმა და მათმა თანაშემწეებმა მუშაობა განაახლეს. გზათა მინისტრმა წინადადება მისცა კავკასიის რკინის გზის გამგეობას, ახალ მიღებულ მოსამსახურეებს მათი ძველებური უფლებები შეუნარჩუნეთ, გაფიცვის დროს კი ისე ჩაუთვალეთ, ვითომც ისინი შინ ყოფილან დათხოვნილი უჯამაგიროდ.

სტამბოლი. სმირნაში აღმოაჩინეს სომხების დიდი შეთქმულება. სომხების ბინებზე იპოვნეს 80 დიდი და 43 პატარა დინამიტიანი ბომბა და აგრეთვე პლანი, თუ როგორ აფეთქებინათ სხვა და სხვა საჯარო შენობები სმირნაში. ამბობენ, ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია იილდიზში და დაუყოვნებლივ იქმნა გაცემული ბრძანება, სასტიკი გამოძიება მოახდინან პროვინციებშიო. (კორესპ. ბიურო).

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 აგვისტო

პეტერბურგი. ადმინისტრაციის განკარგულებით ზომებს მიიღებენ, რათა სხვა და სხვა ანტრეპრენიორებმა არ გაყვლიფონ მათ მიერ დაქირავებული პირნი, რომელნიც ბევრ შეაქვთ თეატრებსა, საკონცერტო ზალებსა და სხვა მანეჟებში სასამსახუროდ. რადგანაც რუსეთის რამდენიმე გუბერნიაში მოუსავლობა არის, ამიტომ გადასწყვიტეს დაარსონ თვითო გუბერნიაში საქველ-მოქმედო კომისიები, რომელნიაც დაევალებათ გაჭირვებულთათვის შემწეობის აღმოჩენა, რითაც შეუძლიანთ.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება: „სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს, როგორც გავიგეთ, ისეთი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან, როგორც ქვემოსა და ზემო პალატებს საპარლამენტო რეჟიმის დროს, სახელმწიფო სათათბიროს ფართო ადგილი ეძლევა სამოქმედოთ. მას მიეკუთვნება საკანონ-მდებლო ინიციატივა, ყველა მინისტრების შეკითხვის უფლება, და ყველა კრედიტის განხილვა, მათ რიცხვში სამხედროსაც. სახელმწიფო სათათბიროს დაარსება, უეჭველია, გამოიწვევს სახელმწიფო საბჭოს დებულების შეცვლას, რათა იგი შეუფარდდეს სათათბიროს. სათათბიროს ნება აქვს შეიმუშაოს შინაურ წეს-რიგოწესები. სახელმწიფო სათათბიროში ნებისად ექნება შესვლისა მცხოვრებლებთა ყველა წრის წარმომადგენლებს. არჩევნები მოხდება ცალკ-ცალკე, მამულ-მფლობელთაგან, ქალაქის მცხოვრებთაგან, გლეხებისა და კაზაკებთაგან. მაზრის მემამულენი ყველა წოდებისა, მათ რიცხვში მესაკუთრე გლეხებიც, ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს საგუბერნიო საარჩევნო სიეზდებში, საცა თავიანთ წრიდან ირჩევენ სახელმწიფო სათათბიროს წევრებს. შინაგან გუბერნიებს თვითეულ 250 ათას მცხოვრებლებზე და განაპირებს თვითეულ 350-ზე ეყოლებათ თითო წარმომადგენელი. ქალაქის მცხოვრებლები, რომელთა რიცხვში შედიან ყველა ეროვნებითა ქონებრივ ცენზიანი წარმომადგენელნი და აგრეთვე მეთე რაზრიადის ბინის მოქირავენი, ირჩევენ თვითეულ ასი ათას მცხოვრებლებზე თვითო წარმომადგენელს პირდაპირ სახელმწიფო სათათბიროში. უფრო მოზრდილ ქალაქებს, რომელთაც ასი ათასზე ნაკლები მცხოვრებლები ჰყავთ, ნება აქვთ აირჩიონ თვითო წარმომადგენელი. გლეხებს და კაზაკებს ნება მიეცემათ, აირჩიონ თვითეულ გუბერნიისა და ოლქზე თვითო წარმომადგენელი. იმ გლეხთათვის რომელნიც ცალკე ჯგუფებად არიან გამოყოფილნი, არსდება სამკეცი არჩევნები. ვოლოსტის ყრილობა ირჩევს, უფროსების დაუსწრებლად, სრულიად დამოუკიდებლად, ერთს დეპუტატს სამაზრო საარჩევნო კრებისათვის, საცა ერთს დეპუტატს ირჩევენ საგუბერნიო საარჩევნო კრებისათვის, ამ უკანასკნელზე კი მთელის გუბერნიის გლეხების დეპუტატები ირჩევენ ერთს წარმომადგენელს პირდაპირ სახელმწიფო სათათბიროში. ამ პროექტის გამოცხადებას 6 აგვისტოისათვის მოელიან.

პეტერბურგის ბირჟა 2 აგვისტო 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	94,80
ბერლინისაზე 100 მარკაზე	46,07½
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,85
ბერლინისაზე „	46,80
პარიზისაზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	85⅛
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1908 წ.	80
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	80¾
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	410¼
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 866 წ.	310¾
5% გირ. მამ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	266
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
5½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	207

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამ ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—25)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ველბორდტ ლოკში

გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისკის) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—15)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტელნის, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190, ოქრუევისა. (30—20)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1) ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2) საზოგადო საგაჭროსა, 3) ბანკისას 4) კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსისა), 5) ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6) არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7) კომერციულ კორესპონდენციასა, 8) ვაჭრობის ისტორიასა, 9) ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებისა.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ ეძლევათ და ეგზავნებათ უფასოდ.

(14—7) ალ. გ. საათაშვილი.

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო.
ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვინც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს, ქართველთა ამხ. კანტორას, ვანკის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—14)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—17)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიქოვის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- შ. კ. შვილისა—პოემა ბახანახი.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პეტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
დვინის დაცვენა, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან გ. ყვანჯულოვისა	1 —

Доз. ценз. Тифлисъ, 3 Августъ 1905 г.

печ. Груз. Изд. Т-ва, ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ-ისა